

ხეროვნ ფლიანდ

ლოკვილ ხიბლი

სერგო მელიქიძე

ლოცვად ნიბათი

ლიტერატურული ალმანახი
№ 13

UDC(უაკ)821.353.1(051.2)
ბ-433

პერიოდული გამოცემა
გამომცემელი: *ლერი ნოზაძე*
ISSN 1987-9261



ჩვენი სერგო

როდესაც ამ წერილის დასაწერად დავჯექი, გამახსენდა სერგოს ნათქვამი: „მე უფროსი ვარ, ამიტომ შენ მოგიწევს ჩემს შესახებ დაწერა და ჩვენი ამბების გახსენება“. ასეც მოხდა. აგერ უკვე იმ ასაკსაც გადავაბიჯე, სერგო რომ წავიდა ჩვენგან. როგორც ჩანს, ყველაფერი მოსასწრებია. სათქმელი კი ბევრი მაქვს.

1967 წელს ჩავირიცხე უნივერსიტეტში და იქიდან დაიწყო ჩვენი ურთიერთობა. სერგო იყო მე-4 კურსზე, ფაკულტეტის კომკავშირს ხელმძღვანელობდა. ერთი მხარე გვაერთიანებდა. ის, მართალია, გაიზარდა ბორჯომში, იქ დაამთავრა სკოლა და იქიდან წავიდა უნივერსიტეტში, მაგრამ ფესვები ოკამში ჰქონდა, ჯავახეთის ამ შესანისნავ სოფელში, სადაც შემდეგ ჩვენ არაერთხელ ვყოფილვართ ექსპედიციაში თუ სტუმრად.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ს. მელიქიძე ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დატოვეს, ჩააბარეს კანცელარიის ხელმძღვანელობა. ეს სერიოზული თანამდებობა იყო, მას ებარა უნივერსიტეტის ბეჭედი და რექტორის ილია ვეკუას ხელმოწერას ადასტურებდა, ამიტომ შედარებით მოუცლელი აღმოჩნდა სერგო, მაგრამ ვინ აძლევდა კარგი ცხოვრების საშუალებას. მისი მეგობრები ხშირად ვიკრიბებოდით პირველ სართულზე იმ პატარა ოთახში, იქნებ ხელიც ეშლებოდა, მაგრამ არასოდეს საყვედური არ წამოსცდენია და არ მოუბოდიშებია, არ მცალიაო.

როცა უნივერსიტეტი დავამთავრე, მუშაობა დავიწყე თსუ

ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ ტოპონიმიკის ლაბორატორიაში, სადაც მალევე გადმოვიდა სერგო სამუშაოდ. იქიდან მოყოლებული მართლაც ყველა დღე ერთად გვიწევდა ყოფნა. ერთად დავდიოდით ექსპედიციებში ჯავახეთსა და ქართლში.

ასე ერთად ყოფნა გვარგუნა მე და სერგოს ბედმა. 1990 წელს ერთად წამოვედით ახალციხეში, დავიწყეთ თსუ ახალციხის ფილიალის ჩამოყალიბება, ბრძოლა საუნივერსიტეტო ცხოვრებისათვის.

მისი უნივერსიტეტის გამოცდილება ძალიან გამოგვადგა. ახლად ჩამოყალიბებული ფილიალისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო საკანცელარიო საქმის მაღალ დონეზე წარმოება, სერგოს კი, ამ საქმის შესანიშნავ სპეციალისტს, არაფერი ეშლებოდა. დავსხდებოდით და გადავწყვეტდით ყოველგვარი სამინისტროს და ადგილობრივი ოფიციოზის გარეშე, როგორ წაგვემართა ესა თუ ის საკანცელარიო საქმე.

ფილიალში სერგო, როგორც დირექტორის მოადგილე, ხელმძღვანელობდა სასწავლო ნაწილს, საჭიროების შემთხვევაში შევუთავსებდით ხოლმე დეკანის თანამდებობას. რომელ თანამდებობაზეც უნდა ყოფილიყო, სერგოს ახასიათებდა საქმისადმი ერთგულება, პრინციპულობა, ხანდახან, თუ საქმეს სჭირდებოდა-ჯავახური სიჯიუტე და პროფესიონალიზმი.

სერგო ილიას ძე მელიქიძე დაიბადა 1943 წელს ახალქალაქის რაიონის სოფ. ვარევანში. სწავლობდა ბორჯომის პირველ საშუალო სკოლაში. 1957 წელს ჩაირიცხა ბორჯომის სატყეო ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1961 წელს და მუშაობდა ბორჯომის წყალთა და სატყეო მეურნეობაში. სატყეო ტექნიკუმში სწავლას თბილად იხსენებდა სერგო. ტოპონიმთა კვლევისას ტექნიკუმში შეძენილ ცოდნას, მცენარეთა ლათინურ სახელებს, წარმატებით იყენებდა ხოლმე.

1964-1969 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასურ ენათა განყოფილებაზე. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე დაინიშნა თსუ კანცელარიის უფროსად. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია-

ში ყოფნა ახალგაზრდა კაცისთვის წარმატებაც იყო და რექტორატისაგან დიდი ნდობის გამოცხადებაც. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა სერგო საქმისადმი სკურპუოზული დამოკიდებულების მუშაკად. მისთვის არ არსებობდა წვრილმანი და მეორე ხარისხოვანი საქმე. ყველაფერს უდგებოდა მაღალი პასუხისმგებლობით.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი საქმიანობა თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ ონომასტიკურ ლაბორატორიაში, ჯერ უფროს ლაბორანტად, ხოლო შემდეგ — უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. ონომასტიკის ლაბორატორიაში მუშაობის პერიოდში მისი სამეცნიერო საქმიანობა მიეძღვნა ძირითადად ტოპონიმიას. მანამდე კი ს. მელიქიძე მუშაობდა ჯავახურ დიალექტზე, რაც დასრულდა 1975 წელს საკანდიდატო დისერტაციის დაცვით. მისი დისერტციის თემა იყო „ჯავახურის დარგობრივი ლექსიკა“, რომელიც არის მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომი ჯავახურ დიალექტზე. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი შექმნილია თითქმის 50 წლის წინ, მას არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება. დარწმუნებული ვარ, დისერტაციის წიგნად გამოქვეყნების შემთხვევაში მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება იგი ჩვენი დიალექტოლოგიისათვის.

ტოპონიმიკის გარდა ს. მელიქიძეს მნიშვნელოვანი შრომები აქვს ანთროპონიმიაში, ქართულ გვარ-სახელებთან დაკავშირებით.

ჩვენს წერილს თან დავურთავთ ავტორის ხელით შედგენილ შრომების სიას, რაც ნათლად დაგვანახებს მის სამეცნიერო ინტერესებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პედაგოგიური მოღვაწეობა, რაც დაკავშირებულია ძირითადად თსუ ახალციხის ფილიალთან, სადაც იგი კითხულობდა შემდეგ საგნებს:

× ქართული ენის სწავლების მეთოდიკა;
× ქართული ენის გრამატიკა;
× ზოგადი ენათმეცნიერება;
× ქართული სალიტერატურო ენის ისტორია;

× მასმედიის ენა;
× აკადემიური წერა;
× ძველი ქართული ენა;
× ენათმეცნიერების შესავალი;
× ლექსიკოლოგია.

1990-2005 წლებში ს. მელიქიძე იყო თსუ მესხეთის (ახალ-ციხის) ფილიალის დირექტორის მოადგილე. 2005 წლის თებერ-ვლიდან 1 ნოემბრამდე ასრულებდა თსუ მესხეთის ფილიალის დირექტორის მოვალეობას, ხოლო 2007 წლამდე მუშაობდა თსუ მესხეთის ფილიალის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელად. 2006 წლიდან იყო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. 1999 წლიდან ს. მელიქიძე იყო გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ პასუხისმგე-ბელი მდივანი. მისი წარმატებები საზოგადოებრივ თუ სამეც-ნიერო საქმიანობაში დიდი შრომის შედეგია.

სერგო მელიქიძემ შექმნა შესანიშნავი ოჯახი. მეუღლე მა-რინა ოსაძე ღირსეული ქალბატონია. იგი ყოველნაირად უწყობ-და მეუღლეს ხელს, რომ ეღვაწა და ეკეთებინა საქვეყნო საქმე. ოჯახისა და მშობლების დამფასებელია მათი შვილი გიორგი, რომელმაც ასევე კარგი ქართული ოჯახი შექმნა.

მიუხედავად იმისა, რომ მისი სამეცნიერო ინტერესები ლინ-გვისტიკასთან იყო დაკავშირებული, სერგო ლიტერატურის, კერძოდ კი პოეზიის განსაკუთრებული სიყვარულით გამოირ-ჩეოდა. იყო დრო, როდესაც ძალიან ხშირად ვიყავით ერთად მე, სერგო და ჩვენი მეგობრები. ვსვამდით, ვამბობდით ლექსებს და ვაკეთებდით ჩანაწერებს. მას შემდეგ 40-50 წელი გავიდა. ალ-ბათ დადგება დრო, როდესაც ამ ჩანაწერებს გამოვაქვეყნებ. მათში ურთიერთპატივისცემა, თავისუფლება, იუმორი, ბოჰე-მური განწყობები სჭარბობს. ამ ჩანაწერების ავტორთაგან ბევ-რი აღარ არის ცოცხალი.

სერგო, რომ ლექსებს წერდა, ვიცოდით. ერთხელ ავთო ბე-რიძემ მოახერხა და რამდენიმე ლექსი გამოაქვეყნა კიდეც თა-ვის გაზეთში, როგორც მახსოვს, მაგრამ ის, რაც ლერი ნოზაძემ

და მეგობრებმა გააკეთეს სერგოს ლექსების შეკრებით, დიდი საქმეა. სერგოს ცხოვრების არც ეს მხარე უნდა დარჩეს ჩრდილში.

ჯავახეთში დაბადებული და მთელი ცხოვრება სამხრეთს ნაზიარები კაცისთვის ბუნებრივია, რომ სამშობლოს თემა უმთავრესია მის ლექსებში:

„შენი ტრფიალი ვინ შემასწავლოს,
სამშობლო, შენით ვცოცხლობ, ვიზრდები,
მე მტკვარს მივუყვები ლამაზ სიმღერით
და სიმღერების ლამპრად ვიქცევი
და თუ ქვეყანას მეც დავჭირდები,
მის სიყვარულში გავნაწილდები“.

მახსენდება მისი ცხოვრების ბოლო წელი, როდესაც ძალიან უჭირდა მას ფიზიკურად, მძიმე ავადმყოფობაშეყრილი მაინც არ იშლიდა და ლექციებს არ აცდენდა. ამითაც ნაწილდებოდა თავისი ქვეყნის სიყვარულში, ჩვენი სერგო, აქ სჭირდებოდა ქვეყანას და ისიც აქ იყო, აღარ შეეძლო, მაგრამ აქ იყო.

ჩვენს თაობას საფიცრად ჰქონდა სამშობლო. არ ერიდებოდა მოსაფერებელ სიტყვებს, საქმითაც დაუმტკიცებია ქვეყნის სიყვარული. ასეთი იყო ამ თაობის ღირსეული წარმომადგენელი სერგო მელიქიძე.

წასულა ყველა,
ყველა წასულა,
წასულა ყველა წინაპართაგან...
ვდგავარ დარაჯი ათასწლოვანი
საქართველოის მისავალ კართან!

წინაპრის წინაშე პასუხისმგებლობა, ვალდებულებად, ერთგვარ ცხოვრებისეულ დოქტრინად ექცა:

წარსულიდან გამოგიხმობ,
თუკი გამიღიმებ ცისკარს...
ჩემო დიდო წინაპარო,
გამოვყვები შენს კვალს,

დამიჯერე, ეს მთა-ველი
შენებურად მიყვარს,
შენს საფიცარ საქართველოს
შენგვარადვე ვიცავ!

ადგილის სახელების ქება ან დამახასიათებელი ნიშნის ხაზგასმა და ამით მეზობელი სოფლების გალექსება ჯავახური ტრადიცია იყო, რის კარგი მცოდნეც გახლდათ სერგო და კარგადაც იყენებს თავის ლექსებში:

„დილისკას სეტყვა მოსულა,
ქილდას წალეკა ყანაო,
აფნიას, ქარცეფს, მირაშხანს,
ოდოჟღერ დააყარაო....
ისე გახადა მინდვრები,
სოხახებს დაამგვანაო....
რაღა უშველის ჯავახეთს,რარიგად გაამწარაო!...

როგორც ყველა პოეტს, სერგოსაც საკმაოდ ბევრი უწერია ლირიკული ლექსი. ხან თავად დასტრიალებს ქალს, ცხოვრების თავსა და თავს, ხანაც გვერდიდან უცქერის და აკეთებს ავტორიტეტულ დასკვნებს.

„თეთრი ქალი
თეთრი ღამე,
„შავად გათენებული“,
ოცნებები დაკარგული,
ცხადიცა და ფასეულიც,
აღარც მარე და აღარც მთვარე
აღარც ღვინო კახური,
თეთრი ქალი
თეთრი ღამე
ღვინო „ალადასტური“...

— ეს ღამეზეა ნათქვამი...

ახლა დღისას მოვუსმინოთ:
მიდის და მიაქვს ჩახლართული ფიქრების ბადე,

მას ჩუმი მზერა ეამაყება, ეს უნდა გწამდეს,

გრძნობის ქაოსში ამოარჩევს, ვინ იცის რამდენს, მაინც მალულად გითვალთვალებს, ქმარიც რომ ჰყავდეს!

მის ლექსებში ჩანს დარდიც, იმედიც, გამტყუნებაც და სიხარულიც; ყველაფერი ჩანს, თაობას, ცხოვრებას რომ აწუხებდა. ადამიანი თავისი გაკეთებული საქმით ფასდება. მისი ლექსების გაცნობისას გულისტკენა გიპყრობს ადამიანს - რატომ მეტი არ დაგვიტოვა, მეტი არ დაწერა...

სერგო იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც ჩვენი აწინდელი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელი თსუ ახალციხის ფილიალის შექმნისა და მშენებლობის გზაზე დაეცა. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში ვინც შემოვა, იქვე, პირველივე სართულზე სწორედ პროფესორ სერგო მელიქიძის აუდიტორიას ნახავს. გავა დრო, მოვა თაობა, რომელსაც მხოლოდ გადმოცემით ეცოდინება უნივერსიტეტის ჩამოყალიბების სათავეებში მდგომი ადამიანების შესახებ. აუდიტორია კი ყველას შეახსენებს, რომ ამ აუდიტორიაში ჰქონდა ლექციები პროფესორ სერგო მელიქიძეს. იგი უყვარდათ სტუდენტებს, უდიდეს პატივს სცემდნენ მეგობრები და თანამშრომლები.

პროფესორი მერაბ ბერიძე

სამშობლო

შენი ტრფიალი ვინ შემასწავლოს,
სამშობლო, შენით ვცოცხლობ, ვიზრდები,
მე მტკვარს მივყვები ლამაზ სიმღერით
და სიმღერების ლამპრად ვიქცევი
და თუ ქვეყანას მეც დავჭირდები,
მის სიყვარულში გავნაწილდები!
აქ უყურებდნენ დაისს, მზის ჩასვლას,
ბექა და ბეშქენ ოპიზარები,
აქ დაისაჯა სიყვარულისთვის -
მეფე პატრონი ბერის ბრძანებით,
აქ რეკდნენ ქვეყნის გადარჩენისას -
ოპიზისა და ხანძთის ზარები!
რომ ვყოფილიყავ იმ ეპოქაში,
ნეტავ თუ რამეს დავიზარებდი?
ვივლიდი რწმენით გაჯერებული,
იმ სიყვარულით ნაზიარები,
საუკუნეთა ქროლვას მოვყევი,
და შატბერდიდან გესაუბრებით,
მე სიყვარულის ამბავს მოვყვები
და არ ვინაღვლებ თუკი მოვკვდები!
ასე მგონია მამულო ჩემო,
შენ გმსახურებდი, რაც კი ვიცოცხლე...
შემოსაწირი თუ იყო ლექსი,
მეც შემოგწირე, ჩემო სიცოცხლევ!

ჩემი უმწეო ფრთებით ვიფრინე,
დრო, რაც მარგუნა დროის მსაჯულმა,
მეც ვწერდი ლექსებს შენს სიყვარულზე,
მაგრამ ბოლომდე ვეღარ გავსულვარ!
თუკი რაიმე მეცა ვთქვი სიტყვა
და დროის სრბოლას ვერ გავასწარი,
ლოცვად მიიღე მცირე ნობათი,
„შენს სიყვარულში რაც მოვასწარი!“

***

დილისკას[1] სეტყვა მოსულა,
ქილდას წალეკა ყანაო,
აფნიას, ქარცეფს, მირაშხანს,
ოდოჟღერ დააყარაო....
ისე გახადა მინდვრები,
სოხახებს დაამგვანაო....
რაღა უშველის ჯავახეთს,
რარიგად გაამწარაო!...

[1] დილისკა, აფნია, ქარცეფი, მირაშხანი - სოფლებია ახალქალაქში.
ოდოჟღერი - უმწიფარი ყანა.
სოხახი - უვარგისი ადგილი.

ჯავახეთში

იქა ვართ, სადაც გველოდით
საუკუნეთა მიღმა...
თავფარავანის ტბასთან
ვეება მთვარე იწვა,
ორი მდინარე სდიოდა
სისხლად ჯავახურ მიწას,
მკლავმოუღლელი ვაჟკაციც
სულმიქანცული მიწვა!
ცულდას, ოკამს და ხანდოს
გადაუღებლად წვიმდა,
რვალის გამტეხიც გატყდა,
მისაწვდომს ვეღარ მისწვდა!
მემატიანის დავთარს
ქარი შლიდა და ხევდა,
შეძრწუნდა ადგილის დედაც
და ჩაიღვენთა ცრემლად!
... დავაგვიანეთ მოსვლა -
შეგვინდე,
ქართლის დედავ!

მოდა

ასე იყო თუ ისე,
ერთი მეორეს სჯობდა,
ძველი იყო თუ ახალი,
რაღაცას ყველა თმობდა...
იბრძოდა,
გმობდა,
აღწევდა,
რთავდა,
კაზმავდა,
რყვნიდა.
ჟამი ულმობლად რბოდა....
....
მერე ვიღაცამ უწოდა
ამ ყოველივეს მოდა!

***

საყვარელი ქარები...
შეღამებულ ბაღებში
დაქრიან და ღიმილი
ენატრებათ ქალების!

მანანას

შენ ხარ ქალი,
შენ გიყვარს ლექსი,
შენი გრძნობები ფიქრში იწვიან,
თავაწეული როცა გაივლი,
რა იცი, შენზე რას არ იტყვიან,
მაგრამ ისინი რომ ვერ ხვდებიან,
შენ რაც იცი და მათ არ იციან!
ჯანდაბას, ვინაც რაც უნდა ის თქვას,
შენში სიცოცხლე ძალუმად ფეთქავს,
შენი ქალობის ლამაზი სევდა
ოდესმე თუნდაც უსიტყვოდ გეთქვას!

***

ჩემო მზეონა,
თეა,
მანონი!
აღარ არსებობს ქვეყნად კანონი?
რა მოგდით, ხალხო,
რამ დაგაობლათ,
დედები გვინდა თქვენი თაობის!
რა დავიჯერო და რა ვიწამო
თქვენი ქალობის?

თმას

შენ ჩემო მომავალო
თვალხატულა გოგო,
წლები ჩაგიქროლებს და
ჟამი თავისას მოგთხოვს!...
ოღონდ გამიგონე ერთი შეგონება,
როცა შენც პატარა თეა გეყოლება,
უთხარ: გვყავდა შვილო,
ქვეყნად წინაპრები,
მათი ფეთქვა შეწყდა,
მაგრამ გელოდება,
მათი მიწა-წყალი,
მათი მთა და მდელო,
მარად საფიცარი-დედა
საქართველო!

***

ჰყვარებიაო ბიჭს გოგო,
მოუტაციაო და...
ატყდება ჭორთა საუფლო,
პასუხს აბა ვის მოსთხოვ?
ვიშვიშით აგვიკლებს დედა, -
როგორ გაბედესო, როგორ?
ჩაიქირქილებს ბერკაცი...
-ოჰო!

მარტოსულს

გულცივი ზამთარი მოვა,
ურცხვად შემოგიღებს კარებს...
სულს გაგიყინავს თოვა,
ო, როგორ გაგაწვალებს!
მოიბუზები საწყლად,
ფიქრს მიეცემი მწარეს,
ნეტავ ვინ მოვა მალე,
ნეტავ ვინ გაგახარებს...
ვიცი, ჩადგება ყინვა
ფერი ეცვლება მთვარეს...
შენ კი არავინ გიხმობს,
ხურავ და აღებ კარებს!

წყაროსთავის მონასტრის მოთქმა

წასულა ყველა,
ყველა წასულა,
წასულა ყველა წინაპართაგან...
ვდგავარ დარაჯი ათასწლოვანი
საქართველოის მისავალ კართან!

***

ბედნიერება თვითონ არ მოდის,
არც არაფერზე არ იყიდება.
ბედნიერებას ბრძოლა სჭირდება,
ბრძოლით გვიხდება მისი მიგნება.
ბედნიერება არ იყიდება,
ვისაც ერგება მისი ხვედრია,
დაბადებიდან ღვთიურ საჩუქარს
ქვეყნად არავის არ აყვედრიან.
არავინ იცის ამ საწუთროში,
საით მიდიან, რა აბადიათ,
ბედნიერება ანგელოზია -
უბედურება მისი გადია!
ისევ ღმერთია ყოვლის განმგები,
ყველა მოელის თავის განაჩენს...
ერთს გაუღიმებს ბედნიერება,
გვერდზე ჩაუვლის ყველა დანარჩენს!
ნათელ სიყვარულს სიძულვილი სდევს
და უკურნებელ სენად იქცევა,
უბედურება თუკი ზეიმობს,
ბედნიერებაც სადღაც იქვეა!

***

ციცაბოზე ჩამოვირბენ,
გვერდს ავუქცევ ფერდიგორას,
გამოვყვები ქარის ქროლვას,
გითვალთვალებ შორი-შორად!
ვინ გამიყო გული ორად,
შენს ღიმილს ვინ დამაშორა,
ვინ გათელა ჩემი გრძნობა,
ვინ აქცია ლამაზ ჭორად?

***

ზღაპრებში და ლეგენდებში
დაგეძებდი დიდხანს,
ვინ თქვა, თითქოს არ ვიცოდი,
ვინც იყავი, ვინ ხარ,
წარსულიდან გამოგიხმობ,
თუკი გამიღიმებ ცისკარს...
ჩემო დიდო წინაპარო,
გამოვყვები შენს კვალს,
დამიჯერე, ეს მთა-ველი
შენებურად მიყვარს,
შენს საფიცარ საქართველოს
შენგვარადვე ვიცავ!

***

თქვენ ისევ მარტოდ რჩებით
და ლეგენდებით ცოცხლობთ,
ორი ბობოქარი გული,
ორი თავნება გოგო!
უბის წიგნაკები გოდებენ,
დღიურებს ცრემლები ახრჩობთ,
განცდები იწვიან,
იჭვები ხარხარებენ,
-რატომ?
რაღაც მოჩვენებებს შეჰხარით,
სიცოცხლეს ლეგენდებს ანდობთ!
ზედმეტად თავაზიანი ბრძანდებით,
ქალბატონებო, გმადლობთ!

***

როგორც და რადგან,
რამეთუ, თუმცა,
როცა, როდესაც...
გაიგო მანაც...
„მაგრამ“ კავშირი
ჩადგა შუაში,
დანარჩენებმა დაკარგეს ძალა!

***

ბინდი ჩამოწვება და სისხლსავსე ცხოვრება
დაკარგავს ლაზათსა და შნოს,
მესხეთის სოფელი, გურიის სოფელი,
ო, როგორ სჭირდება დროს...
მესერზე შემომჯდარი მამალი
ამ წუთისოფელს გმობს...
სოფლელი ანული, ხვთისო და თეონა
წასულებია შორს...
ვინ იცის, რომელი მათგანი
სად ხვდება გულის სწორს!
.... წამოდგეს დევკაცი ლაშა გიორგი
ვინ უმასპინძლებს თორს?
ულუმბას, ჭოშორას, ქილდას და შატილს
ეჰ, რა ადვილად ვთმობთ!
ერეთი, კლარჯეთი, ტაო და შავშეთი,
როსღა მოვეგებით გონს?!

***

ყელყელა გოგომ ფიქრები,
მერცხალთ შორს გაატანაო,
საშემოდგომო ქორწილი
მომავალს გადიტანაო!

N – ს

გესმის?
სადა ხარ?
მოდი, მომხედე,
მოდი!
ეჰ, თორემ
დავაგვიანეთ!
დროს ყველა ვუცდით,
დრო არ დაგვიცდის,
დრო ყველას ერთად გაგვანიავებს!

***

შენ - ვინც იყავი ეს სულერთია,
ნანი, მადონა, ლალი, ანული...
წახვედით. დამრჩა ქენჯნა სულისა,
დრო დაკარგული და სინანული!

ქალი

მიდის და მიაქვს ჩახლართული ფიქრების ბადე,
მას ჩუმი მზერა ეამაყება, ეს უნდა გწამდეს,
გრძნობის ქაოსში ამოარჩევს , ვინ იცის რამდენს,
მაინც მალულად გითვალთვალებს, ქმარიც რომ ჰყავდეს!

რია-რია

თეთრი ქალი,
თეთრი ღამე,
„შავად გათენებული“
ოცნებები დაკარგული
ცხადიცა და ფარულიც,
აღარც მზე და აღარც მთვარე,
აღარც ღვინო კახური,
 თეთრი ქალი,
თეთრი ღამე,
ღვინო „ალადასტური“...
არც გიტარა არ მჭირდება,
აღარც შენი ფანდური,
ერთმანეთში გახლართულა
აწმყოცა და წარსულიც.
ქანდარაზე შემომჯდარა
ყველა დროის ავსული,
ზღაპრებიდან გამოსულა
ჩემი ძნელი წარსული...
თეთრი ქალი,
თეთრი ქალი,
საით არის წასული?!

***

არ მაპატია ცხოვრებამ
მცირეოდენი შეცდომაც,
ბოლომდე გამაცამტვერა
ამ უწყინარმა „ცოდვებმა“.
თუმცა მეგონა ვთესავდი -
სიყვარულს, კაიკაცობას...
უანგარობა გადმექცა
ყოფნა-არ ყოფნის არცნობად!
ყველა აღზევდა, გაფუვდა...
სინდისიც ზედ მიაყოლეს -
ირონიულად დამსეტყვეს,
ჩაუქოლავად ჩამქოლეს...
ყველა ოცნება და ნატვრა,
უბრალოდ, ქარს გავაყოლე!

***

პრომეთე მოკვდა!
თუ ძალით მოკლეს?
ჯორდანო ბრუნოც არვინ დაინდო!
დამოკლეს ხმალიც აქვეა სადღაც,
შეშინებული რად ხარ რაინდო!

***

ნოტებს შეუძლიათ იტირონ,
სანთლებს შეუძლიათ იტირონ,
რომ დაიოკონ გრძნობა....
მკრთალ შუქზე ვილოცე შენი სახელი,
რატომღაც გული მთხოვდა...
ოი, როგორი განცდით....
შემოგავედრე ტრფობა...
სანთლები ტიროდნენ,
ნოტები ტიროდნენ,
სულში კი ისევ თოვდა!

***

ზოგს აღსარება გზას გაუნათებს,
ზოგი აღსარებით ერთობა....
ჩემო წინ წასულო ფიქრებო,
ჩვენ ვისღა ვთხოვოთ შენდობა?

***

იცინი, გიხარია რაღაც,
რაღაც იცი და ხარობ,
ვის გაენდობი ნეტავ?
აფსუს, „ცოლი მყავს რა დროს.“

***

ის იყო ქალი, ცოლი და დედა... ოჯახის ტვირთი ერთგულად ზიდა, შორეულ ლანდებს, ფიქრს და ოცნებას, გულუბრყვილობის იმედით ქმნიდა...
შვილი - ესაა ყველაზე დიდი, უპირველესი საზომი ქალის, მისი სიცოცხლე და სიხარული, ბედნიერება დღეის და ხვალის...
გაფითრებული და შაოსანი ომის მქუხარე დღეებსაც შეხვდა... მკლავმოუღლელი და განაცადი, ჟამის სიამეს გმირულად კვეთდა... ცხრა შვილის დედა, ცხრაჯერ ცხრა წელი, იო, რამდენი გასულა ხანი, ეს მოხუცია ის დედაბერი, ქუჩაში რომ დგას ხელებგაწვდილი... ოჰ, ღმერთო ჩემო
ცაო და მიწავ, მთებო, წყლებო და დედაბუნებავ... ეს სასჯელია თუ დამცირება, თუ ბოროტების შემობრუნება... უმადურობა, უმადურობა რეკავს გაბმულად განგების ჟამი....
აგერ კანონი, აქ ვართ მე და შენ, აქ არის ყველა შენი მოდგმისა, კანონი არის განმსჯელი ჩვენი, უთვისტომოს და ყველა მოძმისა, ყოვლისშემძლეა იგი კანონი, შენი შეთხზული, ადამიანო! ძალაუფლება მას ჩააბარე და მისი ნებით უნდა იარო! შენს თავს თვითონვე ვერ მოერიე, ვეღარ განსაჯე სწორო და მრუდი, ბობოქარ სულში ჩაგიჯდა ეჭვი და შუცნობი სამხილით სწუხდი...
და ბოლოს იგი მაინც მონახე, რასაც ეყმე და ემონე კიდეც, კანონი გახდა შენი მეუფე დასაბამიდან უკუნისამდე!

***

ასე ყოფილა დასაბამითგან,
ადამიანებს აწვალებთ შუღლი,
ვისი და რისი ღმერთმა განსაჯოს,
ვის ენატრება ჯანღი და მწუხრი?
გასწიე, ხარო, შეუმსუბუქე
შენს თანამოძმეს სიმძიმე უღლის,
„მიწა ხარ, მიწად იქცევი ბოლოს“,
ასეთი არის სურვილი უფლის....
ადამიანო! წუთისოფელი
ქვეყნად არავის არ შერჩენია,
რასაც დათესავ, იმას მოიმკი,
არარსებულზე ფიქრი ძნელია,
შენია, შენით რასაც მიაღწევ,
იკმარე იგი, რაიც გერგება,
გახსოვდეს ისევ შენი ნათქვამი -
„რაც არ გერგება არ შეგერგება“.

***

„ჩალიჩა“ მუდამ „ჩალიჩობს“,
უნდა რომ კაცად გაიცნონ,
ათასჯერ მიზანს ვერ მისწვდა,
ათასმეერთედ დაიწყო.

ზღაპარ იყო...

მოვდიოდით, მოვყვებოდით
უსასრულო გზებს....
ჩვენ ვიყავით ერთი წყვილი
და ათასი სხვა.
„ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო“
წინაპარმა თქვა.
ჩვენ გზადზგზა ვიზრდებოდით,
იზრდებოდა სხვაც...
ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი...
გრძნობა ყველას აქვს...
მერე ფიფქმა დაგვათოვა,
გაგვიჭირდა სვლა,
ჩვენ წინ ისევ გრძელდებოდა
უსასრულო გზა.
ჩუმი სევდა შეგვეპარა,
გაგვებზარა ხმაც,
ჩვენ ასაკში შევდიოდით,
ბერდებოდა სხვაც...
ჟანგი ვერსად მოეკიდა
სიყვარულის ზარს....
„ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო“
წინაპარმა თქვა.

ძველი რვეულიდან

ც. გიგაურს

ეს გამტვერილი ოცნება,
სულის შერისხვა, დევნა...
გაოცებული მიდამო
ფოთლებგაცვენილ ხეთა,
გინახავს სულის ტირილი?
ხვეწნა, მუდარა ღმერთთან,
აჯანყებული გული,
პირმოქუფრული ზეცა...
შენ მოდიოდი მარტოდ
და ჩითის კაბა გეცვა!

გზაზე ლანდების რიალი
ათას შეუცნობ ფერთა
მჯობზე უმჯობეს ხატებს
ქარი ხარხარით ხევდა,
გადავიწყებულ მონასტრებს
არ აწუხებდათ სევდა...
ვერ შეიცანი მაშინ,
რადგან შენც ბავშვი გერქვა!

ლტოლვა დაქანცულ სულთა,
ჯვარზე გაკრული ლოცვა,
ღმერთების პანთეონშიც რბევა, ულეტა და ხოცვა...
დასაბამიდან დღემდე...
ჭირისუფალთა მოთქმა,

განზე გამდგარი ობლად
კაცობრიობის მოდგმა...
შენ შემოაღე კარი,
ვით გაზაფხულის ფეთქვა!
ათას ლეგენდებს ჩვეული,
შთამომავლობის ფერხთა...
გართხმულა ყოველივე
მრავალ შეუცნობ ფერთა,
სულის განცდა და წუხილი,
რაიც ვერავინ ვერ თქვა,
განგების ორომტრიალში
გადმოიღვრება ერთად...
და ვიცი, უნდა იგრძნო
მხოლოდ შენ ერთადერთმა!

1971

***

სიკვდილს ხატავდა
მთელი სიცოცხლე,
დახატა კიდეც,
მორჩა, გათავდა.....
და როცა მოკვდა
თავთით დაუდეს
ხატი, რომელსაც
თვითონ არ ჰგავდა!

***

შორეული მირაჟი შენი სულის
სარკეა,
გადარეულ ოცნების ჩაფერფლილი
დიდება...
დახლართული ცხოვრების
ბოლო მართლაც ასეა,
სული როცა ბერდება,
ტრფობა მაშინ იწყება...
ოი, დღეთა ნაკადის ასე ჩქარი დინება,
წუთისოფლის ქაოსში
რეკენ გაბმულ ზარებად,
როცა აზრი იღვიძებს,
ფიქრი რომ დაღვინდება,
ღია კარში შევდივართ,
სადღაც მიგვეჩქარება!
ათასფერად ნათდება
გზები გამოუცნობი,
ღიმილი დასთამაშებთ ჩარიგებულ
მაცთურებს...
დგახარ გაფითრებული...
ერთი ვიღაც უცნობი
და უყურებ სკიპტრიან მოლაქუცე კაცუნებს!

***

ის გაიყვანეს სახლიდან ღამით,
ქურდულად, ჩუმად, „კანონის ძალით“,
განუკთხავად გაასამართლეს,
ისევ და ისევ „კანონის ძალით“.
დაობლდა ბავშვი, სახლი და ქალი,
ჭეშმარიტებამ დაკეცა ფრთები
და არაკაცის ბინძური ენით
მოესპო ოჯახს იმედი ხვალის!
ის კი ბოროტი ყალბი ღიმილით,
„კანონის ძალით“ ქუჩაში დადის!

***

ო, რა მძიმეა იტვირთო კაცმა
ის, რაც შენს ძალას აღემატება...
დადიხარ, მღერი და გიხარია,
რა გემართება?
ეს შემართება გაგყვება დიდხანს?
ვაი, რომ დრო-ჟამს
ვერავინ დასჯის -
და კაცი, ღმერთის ლანდად ქცეული,
თავაწეული ქუჩაში დადის!

***

სიცხიან ველებს ალმური ასდით,
ივლისი იწვის, როგორც აბედი...
გეძებ, გეძახი დიდი ხნის მერე,
სად დაიკარგე, საით წახვედი,
თუ ასე იყო,
თუ ასე გსურდა,
„თავხედ „ ბიჭს სიტყვას რაღას მაძლევდი!

***

მთელი ცხოვრება ფუსფუსებს,
ჩქარობს,
ოცნებობს, ნატრობს
სამოთხე ნახოს...
ქსოვს აბლაბუდას...
აშენებს, ანგრევს...
სამოთხისაკენ ბილიკი მიდის,
ჯოჯოხეთის გზა შარაა ფართო...
არარაობის გზაჯვარედინზე
ადამიანი დგას მარტოდმარტო!

***

ვაი, ჩვენს გამჩენს,
ვაი, ჩვენს ყოფას,
თავი თუ სადმე
გამოგვეყოფა,
გულხელდაკრეფით თავს ვუკრავთ
.... გესმით?
ყოფნა - არ ყოფნას!

***

რისთვის ირჯები
მე შენთან ალბათ,
არ მაქვს სადაო, არც გასაყოფი;
მკაცრი მსაჯული მოსულა უკვე -
ჟამი ამ ქვეყნად ყოფნა - არ ყოფნის!

***

„ასჯერ გაზომე“ –
ბრძნული აზრია,
მაგრამ ყოველთვის
როდი მართლდება,
ზოგჯერ თუ მართლა ასჯერ გაზომე,
ვეღარ მოასწრებ, დაგვიანდება!

***

ჰონორარს აიღებს,
ამაყად გაივლის,
მზეს გაუსწორებს თვალს,
რომანი...
მოთხრობა...
პოემა...
ნოველა....
კალამი რვეულებს ხნავს...
პრემია...
პრემია....
და კიდევ პრემია....
აი, მწერალი „მწამს“.

***

ჩემი ცხოვრების აღმართი
შენი სახლიდან დაიწყო,
მე ვდევდი მინდვრად მწყერ-ჩიტებს,
ჩემ წინ ვარდების გზა იყო!
შენ ამიფეთქე ოცნება,
გულის ხმა ასად გაიყო,
ავმღერდი ისე, მიზეზი
მე არ ვიცოდი
რა იყო!

***

მე ვერ მივყევი ჩემს მოწოდებას,
ვერ მოვიცილე ეჭვი და სევდა,
ისე ვიცხოვრე როგორც არ მსურდა
და უნდობლობა გზადაგზა მდევდა.
და ეჭვს, რომელიც მაცამტვერებდა,
მთელი ცხოვრება დავატარებდი,
მეგონა სადმე გავიმარჯვებდი
და ჩემს ორეულს გავახარებდი!
არ მოიცალა ჩემთვის არავინ...
დამტოვეს გაღმა მიუსაფარი,
სიმსივნედ მექცა კაცობის განცდა,
ბედკრულ ცხოვრების დანატოვარი!
გერად მიმიღო წუთისოფელმა,
კიბეზე ასვლა არ დამაცალა,
ბედმა, რომელმაც ასე გამთელა,
სიყვარულისგან უცბად დამცალა.
ვერ შევიკავე უცნაურ ძალით,
ჩემკენ ნატყორცნი უბედურება,
თუკი სიმღერაც ვერ მოვასწარი,
ამაზე ნურვინ დამემდურება;
ვიყავი მხოლოდ რითმის ჩანჩქერი,
ჰო, ერთი ლექსიც ვერ დაგიტოვე -
უმორჩილესად გემუდარებით,
ნუ გამეცლებით,
ნუღარ დამტოვებთ!

N - ს

„განა ამისთვის მოვედი ქვეყნად,
რომ მხოლოდ უნდა ლექსები ვწერო!“
ამას ამბობდი გულდაწყვეტილი,
რომ აღარა ხარ, რით დავიჯერო!
მაინც ვერავინ გაიგებს ალბათ,
რითი სუნთქავდი, რა გაწამებდა,
სხეულში იქნებ გეჯდა სატანა,
ვაი, რა უღვთოდ გაგაწვალებდა!
არავისთან შენ არასდროს გითქვამს,
არცა არასდროს დაგიჩივლია,
ეპიტაფია გეგონა მხოლოდ -
„ხვალ ჩემს საფლავზე სხვები ივლიან!“
ახლა გავიგე ვინც რომ ყოფილხარ,
რა საჭიროა შენი გამხელა,
ჩვენ გვერდით იყავ უბრალო კაცი
და გული გქონდა თურმე რამხელა!
ავადმყოფობა გტანჯავდა ვიცი,
ეულის სულის მარტოდ ტარების,
ობლად მოხვედი ამ ქვეყანაზე
და ბაჯაღლო გულს დაატარებდი!
მე როგორ გითხრა, ვის არ უყვარდი,
ჩვენში შენ თუკი ვინმე გარჩევდა,
შენ გულნაკლული წახვედი ჩვენგან
და ამას ალბათ ვერვინ გამჩნევდა!
ასეთი არის პოეტის ხვედრი,
გამარჯვებული მაინც ისჯები,

გაგაცამტვერებს ბედი მდევარი
თუკი მას სადმე გადაეყრები!

***

ვისაც უღრან ტყეში
ღამე უთევია,
დილაუთენია
ვისაც უმღერია...
ჭალა-ჭალა, ტყე-ტყე
გზებზე ურბენია,
სიხარულის მადლი - იმას უგემნია!

***

-შენი სახლიდან ჩემს სახლამდის
რა მანძილია?
-რად მეკითხები, ნუთუ ასჯერ
არ გაგვივლია!?

დედა

შენი წასვლის შემდეგ
წასულა წლები,
მეც ვუახლოვდები
შენს ასაკს ვხედავ,
ყოველ წელიწადს აპრილი მოდის,
მალე შევხვდებით,
ასე ვგრძნობ, დედა!
აპრილმა როცა გაიხსნა გული,
ჩამოიბერტყა მკაცრი სიცივე,
მაშინ ვიტირე ყველაზე მწარედ,
როცა სიკვდილი ვერ მოვიცილეთ!
შავეთის ელჩი გამომეცხადა
და გადამიდგა დედის მოცილედ!

შვილს, რომელიც ჯერ არ მყავს

ეჰ, როდის მოხვალ?
სადა ხარ?
ვინ ხარ?
სადა კრთის ნეტავ შენი ნათელი,
ვის არსებაში ბინადრობ ახლა,
ვისი ხელით ხარ ჩამოსაქნელი...
რისთვის და რატომ მოდიხარ ქვეყნად,
შენ ჯერ არ იცი,
ჯერ ვერ მიხვდები,
გულის კოვზიდან მოგწყვეტენ დედას
მერე ტირილით გადაბჟირდები,
წამში დამივლის გრიგალი ტანში,
რაღაც სხვაგვარად გარდაიქმნები,
და შეიცვლება ჩემი ცხოვრება
შენზე ზრუნვით და შენზე ფიქრებით;
ვიცი გექნება დედის თვალები,
მამის სიკერპე და შემართება,
ულევი სითბო და სიყვარული
შვილო, ჩვენგან რომ დაგენათლება,
უნდა მიუზღო მოყვასს მთლიანად,
მიტომ მოდიხარ ქვეყნად ქართველად!
ჩვენ რას დაგარქმევთ, ეს სულ ერთია,
სახელი არის ძალზე მრავალი,
სახელს შენ უნდა ალამაზებდე...
აი, რა არის შვილო მთავარი!
შენ ქართველური მოგყვება გენი,

შენში იბუდოს უნდა წარსულმაც,
წინაპართა ძვლებს მიხედო უნდა,
რომ არ წაბილწოს გესლით ავსულმა,
ერთი სიცოცხლე ყველას ეძლევა,
ყველას აქვს თავის წუთისოფელი,
გზებს, რომელზედაც უნდა იარო,
ვინ დაგახვედრებს ვარდით მოფენილს!
შენ უნდა იგრძნო სამყაროს სუნთქვა,
ავიც და კარგიც თვითონ განსაჯო,
არ შეგენანოს თუკი სიკეთეს,
მთელი სიცოცხლეც რომ დაახარჯო,
ამაოების გზაჯვარედინზე
ვერც სული სწვდება და ვერც გონება,
თუკი წინ წასულს ვერ დაეწევი,
ეს დამარცხება ნუ გეგონება!
შენკენ ვწევთ ხელებს,
მთრთოლვარე ხელებს
და ასე ბნელში ბილიკს მივყვებით,
ამაოების გზაჯვარედინზე
შემოგვაღამდეს იქნებ ლოცვებით...
და თუ შევიგრძნობთ შენს ქართველობას,
აღარ ვინაღვლებთ, თუკი მოვკვდებით,
რადგან იმედი წაგვყვება დიდი,
რომ შენში ისევ განვმეორდებით!

***

გული უნდა გულობდეს და,
მასზე ფიქრში დაიხარჯოს..
კარგი გოგო თუ მოხიბლე,
ქვეყანაზე ამას რა სჯობს!
გოგოს გული ყვავილია,
მზე გაფურჩქნის და მზე აჭკნობს,
კარგი გოგო ბედს დაეძებს,
სიყვარულზე როდი ვაჭრობს...
გაუღიმე ნაღდო ბიჭო,
კარგი სიტყვა გოგოს ათრობს...
თუკი ერთხელ გული გახსნა,
ვერასოდეს ვეღარ დაგთმობს!
მხოლოდ ფრთხილად აიარე
მისი სულის აღმართები,
აირიდე დაღმართები,
დაღმართებზე დამარცხდები..
გული უნდა მთლად დაცალო,
გული უნდა გაიხარჯოს,
კარგი გოგო კარგ ბიჭს უყვარს...
ქვეყანაზე ამას რა სჯობს.

ქალიშვილს, რომელიც არ მყავს

როგორ გელოდი მთელი სიცოცხლე,
ლოცვით დავღალე ჩემი საწუთრო,
რომ არ მყოლიხარ, ვერ დავიჯერებ,
უშენოდ როგორ დავისაყუდრო!
შენი ხატება დამდევს და ყველგან
სახელს გარქმევდი, ვინ იცის რამდენს,

ცხოვრებას ალბათ ვამთავრებ უკვე,
შენი სახება კი ყველგან დამდევს!
როგორი უნდა ყოფილიყავი,
მაინც როგორი წარმომედგინე,
ქალიშვილს, როგორს ინატრებს მამა
საუკეთესოს სულის მერდინზე.

მე თუ ვაგრძელებ ამ ლექსის წერას,
მხოლოდ იმიტომ, რომ შენ დაგეძებ,
თუ შვილად არა, ეგებ მაღირსო,
რომ შვილიშვილად გამომეცხადო.
და მაშინ იგრძნობ, რა არის ცხადი,
ვინ დადის ქვეყნად თავაწეული,
რომ ჩემი გენი შენი წყალობით
ხიდი იქნება ათასწლეულის....
შენ მოხვალ ქვეყნად ალბათ ტირილით,
სამყარო კრძალვით მოგეფერება,
და გაბრწყინდება ჩემი ნაგრამი,
საქართველოის ნათელ ფერებად!

და ჩემს ლამაზად გაჭრილ სამარეს
შენი ცრემლები დაედინება!
სადა ხარ, მაინც,
მოდი, დრო მიდის...
მეც დავიღალე...
რად გამებუტე...
საქარტველოსაც სჭირდება დედა!
დედა, რომელიც დრო-ჟამს შეუტევს!

***

თავზე მადგას წარსული
ულმობელი ავსული!
გაკრეფილა დღეები -
მარცვალ-მარცვალ ასხმული!
ისევ მესმის სიმღერა
ძველი კოლხი ასულის...
დღემდე ჩემი მოსვლისა
რა დრო არის გასული...
ერთი მცნება გამხდარა
მომავალი, წარსული!

გოგნი გოგო

გოგნი გოგო
სოფლის გოგო,
უცნაური ღიმილით,
გვირილებით თმადაწნული
კისკისით და ტირილით!
ტირილითო! გაიკვირვებთ,
რა ატირებს ლამაზმანს,
ბედი მაინც ბედი არის,
სახლს შორდება ამაღამ!
გოგო იყო დაგვიქალდა,
ვნებას ვეღარ ფარავდა....
მოგვევლინა გოგნი, გოგნი,
ულამაზეს ქალადა!
რამდენს ცეცხლი მოუკიდა,
უნებურად ფერფლვდა,
ამ მინდვრებში იზრდებოდა,
ამ შუკებში ცეკვავდა,
ხვალე უკვე სხვაგან წავა,
სხვა მდინარეთს გაჰყვება...
გოგო წავა, სილამაზე
ამ სოფელში დარჩება.
გოგნი, გოგნი, გოგნი, გოგნი,
ასე ნეტავ რად ხდება!
მეც მიყვარდა,
შენც გიყვარდა,
დავრჩით გოგოს მაყრებად!

***

ახლა ღმერთებთან არ მაქვს კამათი,
მე ჩემსას ვიტყვი თუკი მწადია,
მე მესმის მათი,
მე მჯერა მათი,
ვინაც ქუჩაში წყვილად დადიან!
იყო პრომეთე,
იყო ყველაზე მაღალი,
მცირეც...
მაგრამ არ იყო შემცვლელი წყვილის,
ისევე კარგი და საყვარელი,
როგორც ტირილი პატარა ჩვილის, -
და მიხარია ყველა ოჯახში,
შემობრძანება ქართველი შვილის!

***

მწვანე ფურცლებზე დავწერ შენს სახელს,
„მწვანე ფიქრებით“ შენს სახელს აღვწერ,
იქნებ სიმწვანემ გამოგაფხიზლოს...
და გაუღიმო ამ ლექსის დამწერს!
მწვანე სიცოცხლე
შენა ხარ ჩემი,
გესმის? რამდენ ხანს გელოლიავე..
მიყვარხარ, მოდი, გული გამითბე,
სხვა ვინ მომირჩენს მწვავე იარებს!

***

როგორც ყველას - მეც მიყვარდა
შენნაირი გოგო,
როგორც ყველა - ვაღმერთებდი
სიყვარულის მომგონს:
გოგნი, გოგნი, გოგნი, გოგო...
მათოვდი და მათბობდი,
მიღიმოდი, მახელებდი,
უარს როდი ამბობდი...
არ მეგონა წახვიდოდი,
თუ როდესმე დამთმობდი,
ასე უცბად გამყინავდი,
მერმე სხვას გაათბობდი...
ჩამიქროლა დროის ეტლმა,
შუა გზაზე დამტოვა -
ჩემში დარჩა გოგნი, გოგნი,
რომელმაც მიმატოვა!...

***

ახლა სხვა „ფერის“ ლექსებს წერენო,
თქვენ დროს ჩამორჩით
„დიდო მაესტრო“,
მცირე მწერებო,
„გაფრინდით“ სწრაფად,
რომ თქვენთვის მაინც დროს არ
გაესწროს!

***

მაგ ნატერფალებს მინდა გამოვყვე,
რომ მომიყვანოს იქნებ შენამდე,
იქნება ვნახო ნაგზაურები,
შენთან მოსვლასაც რომ გავბედავდე!...
ასე ვფიქრობდი....
და მოხდა ასეც...
სიზმრად თუ ცხადად გამომეცხადე!...
მაინც რა იყო ეს მოლანდება,
რომ შენს გარბენილ ბილიკთან შევდექ,
.....
ოჰ, რა ულმობლად წაშლილა კვალი....

***

შუაღამისას იღვიძებს ქალი...
გუშინ რომ იყო დედა და ცოლი,
ჰოი, ახლა არის უზომოდ მთვრალი,
გადაღლილია ამდენი ძრწოლით!
ლანდებში არჩევს , - ქმარი დახრილი,
ჩასჩერებია მის შერყვნილ ნაკვთებს...
თვალები არის მაინც თვალები -
ქმარს მაინც არჩევს!

***

ისევ შენი გზის დასაწყისს ვეძებ,
ეგებ მოვძებნო, საიდან მოხვალ...
ყველა სოფელში შენ მეგულები,
შენს სახელს ვარქმევ
ლამაზ ქალს ყოველს!
რა ცოდვა გაწევთ, ლამაზმანებო,
თუ ეკითხებით ოდესმე გულებს....
ქალებო, ასე როდემდე გასწევთ,
ბოლოს და ბოლოს ნუ გვაიძულებთ,
აღარ გამოვყვეთ თქვენს მაცდურ
ღიმილს...
ოჰ, ამდენ ტკივილს ვეღარ გავუძლებთ
და მიგატოვებთ
როგორც მედეა
და დაისჯებით სიყვარულისთვის,
რადგანაც ბრალი თქვენვე გედებათ!

ძაღლი

ძაღლურ ცხოვრებას, ძაღლურ ყოფას
არავინ ნატრობს...
არ გიფიქრია შენ ამაზე და არც კი დარდობ,
თუმც საშინელი შენ გერგო ბედი,
ერთგულებ პატრონს!
ჟამთა სიავემ რაც უნდა გიზღოს,
ამ ერთგულებას არასდროს დათმობ!
რა არ გიწოდეს, - მაწანწალაც კი,
აბა, ეს რითი დაიმსახურე,
არასდროს უთქვამთ შენთვის მადლობა,
თავგამოდებულ დიდ სამსახურზე!
ადამიანმა როცა მოგნახა,
(თუ შენ მონახე, არავინ უწყის...)
დაუმეგობრდი, უხმოდ გაჰყევი,
სურვილი იყო ალბათ ეს უფლის!
ძაღლურად ყოფნას ჩვენც მიგვაჩვიეს,
იყეფე, მიდი, რამდენიც გინდა,
ცინიკურ ღიმილს გადმოგაგებებს,
ის, ვინაც გუშინ სამშობლოს ყიდდა!
კუდის ქიცინსაც შენ შეგაჩვიეს,
ლაქუციც მათი მოგონილია!
დაგიცაცხანეს და გაიქეცი,
თურმე არ იყო ეს იდილია!
შენ გაგაცოფეს, გაცოფდი რატომ?
უზნეობას რომ არ ჰქონდა ბოლო,
შენ ერთგულებას ვერ ღალატობდი

და მას იცავდი მხოლოდ და მხოლოდ...
შენ მგლის ჯიშიდან მოდიხარ, ვიცი,
მგელი ვერ იტანს ლაზღანდარობას,
ან გაიმარჯვებს, ან შეაკვდება,
არავის არ სთხოვს მცირე დანდობას.
მგელს მგლობა შერჩა, შენ კი ძაღლობა,
ავად ხსენებას შენით იწყებენ,
ადამის მოდგმის ეს თაობები
საკუთარ თავსაც დაივიწყებენ...
შენც ხომ გრძნობ ამას...
სულით ხორცამდის
შეძრული ხარ და გზას ვეღარ აგნებ,
რადგან გაქციეს შენაც მანქურთად,
ბედი მდევარიც ძაღლივით დაგდევს!

***

საით იჩქარი, ჩემო მოდგმისავ,
სად გეჩქარება, რად გეჩქარება,
რა გესახება,
წინ მომავლის ელვარე სხივად?
შენს თავთან მოსვლა შეძელი თორემ,
სხვა ყველაფერთან ისედაც მიხვალ.

ის...

მოეჩვენა თუ ეს ასე იყო, ყვითელ ფოთლებში ჩანდა ასაკი და მოაგონდა დიდი ხნის წინათ, მოხუცი პაპის ბრძნული ნათქვამი „ეჰ, ასეა წუთისოფელი, ცხოვრება ჩვენი წუთის გზა არის“, ამაოების გზაჯვარედინზე ყოფნა-არ ყოფნა აბა, რა არის“.
შეღონდა უფრო, დაზაფრა განცდამ, სიცოცხლის მადლი იგრძნო ძალუმად და გაურბინა ბურანში უცბად, დავიწყებულმა წლების მარულამ. რა დრო წასულა! ეჰა, ცხოვრებავ.. სიცოცხლის წლები ფიქრებში ჩანდა, თუმცა, უაზროდ არ უცხოვრია, მაგრამ ყოველი - ცისფერ გზებს გაჰყვა... ახლა კი, როცა შეიცნო თავი, ჩასწვდა სიცოცხლის შნოსა და ლაზათს, გზაზე ბურუსი წამოეწია და შემოდგომის პირისპირ დარჩა.

***

შემოდგომის ქარები.... გრიალებენ ბაღებში,
გრიალებენ ქუჩებში,
სოფლის ვიწრო შუკებში.
მოფარფატე ფოთლების რაღა არის ნუგეში,
სამყოფს ალბათ პოვებენ
სადღაც ღადა-ღუდეში.

***

შენ ვერ იცხოვრებ ჩემი ცხოვრებით, ჩემი სიცოცხლეც
უცხოა შენთვის, ჩემი სიკვდილი შენთან არ მოვა, შენს
სიკვდილს ჩემიც არა რა ესმის... სიკვდილი მაინც არის
სიკვდილი, ვისი იქნება, ეს სულერთია, მას ყველა ელის,
უნდათ თუ არა, როგორაც უცხო სტუმარს ელიან!

***

პორტრეტს ძერწავენ ადამიანის, ვინც ღირსი არის
უკვდავყოფისა, ქუჩაში ბევრი დაბორიალობს, რა გაეგებათ
ამა სოფლისა...
ნახავენ პორტრეტს, ჩაიღიმებენ, სიტყვაც არ ისმის
ჭკუათმყოფლისა, ამოიოხრებს წუთისოფელი:
„საკუთარი „მე“ პირველყოვლისა“!

***

იყო პატარა გოგონა... ჩუმი, წყნარი და კარგი,
გრძნობაც ჰქონდა და ოცნებაც, იცოდა ტრფობის ფასიც...
ვერ შეამჩნია ვერავინ, ვერც გაუბედა ვერვის...
ასე უღმერთოდ დაუმხეს, ის სალოცავი ხატიც.
და მაინც კრძალვით ელოდა, იმედს დღეის თუ ხვალის...
აღარც იმედი მოსულა, არც გაახსენდა არვის....

***

მე გამოვიხმობ შენგან ტკივილებს,
ჩემში იბუდოს ყოველმა სენმა,
შენ ჯერ არა ხარ სიკვდილის ღირსი,
გუშინ დაგტოვა ჩვიდმეტმა წელმა,
შენ უნდა გახდე დედა და ცოლი,
შენ ჯერ არა გაქვს უფლება მოკვდე,
მამულს სჭირდება არაგველები,
უნდა იმრავლოს წინაპრის გენმა,
ისეც ცოტა ვართ საქართველოში,
ეს ჩვენზე კარგად ხომ იცის ღმერთმა,
განგების ძალას ვემუდარები,
რომ აგაცილოს ჯანღი და დელგმა...
ხედავ, როგორი დღეები დგება,
ხედავ, რარიგად ხარობს ბუნება,
წამოიხედე, ჩემო ძვირფასო...
იგრძნე, სიცოცხლეც გესალბუნება...
შემოდგომაა, იწყება რთველი,
ხარობს, ზეიმობს დედაბუნება,
ბუბუნი ისმის ქვევრიდან მაჭრის...
რამ წაგიცდინა ასე გუნება!
ნუ გეშინია, სენი ვერ დაგძლევს...
ჩვენც აგაცილებთ ყველა ტკივილებს...
ცამდე ავტყორცნით სიმღერის ექოს,
თალხსა და ბურუსს ჩამოგაცილებთ,
უმორჩილესად გემუდარებით,
შენს სათნო ღიმილს ნუ დაგვაცილებ!

პორტრეტი

შენი სახება - დამფრთხალი შველის გამოცხადება,
ველური ვნება როცა დაცხრება,
მიმწუხრის ჟამიც გამოცხადდება!

***

მე დღეს დავმარცხდი და თუა მარცხი,
იყოს ძლიერთან ბრძოლის წაგება...
განგებავ ჩემო, უზენაესო...
მეამაყება ამის გაგება...
მაგრამ რატომ თრთის სული ძალუმად,
გული რად ბორგავს, რატომ არ ცხრება!
საკითხავია, ადამიანო,
იყო კი, მართლაც ეს დამარცხება!

***

წავიდა სპეტაკი თოვლი,
თან გაიყოლა სიცივე,
სევდა კი მაინც დამრჩა,
ვერა და ვერ მოვიცილე!

***

ო, რა უღმერთო ყოფილა
ნაუცბათევი ჭორი,
ბიჭმა დაკარგა გოგო,
გოგონამ გულის სწორი...
... ჭორი ამსხვრევდა თაღებს,
ქარი ფანტავდა ფოთლებს...
ორი გონება ტიროდა
გრძნობებს, რომლებიც მოსპეს!
... და შეცივნული მხატვარი
ძლივს მიათრევდა მოლბერტს,
ჭორის დახატვა ეწადა
თვითმხილველსა და მომსწრეს!

***

დავდივარ აღმართ-აღმართზე
წინაპართა კვალს დავეძებ,
ფრესკებთან ხელაპყრობილი
მუხლის ჩოქზე რო დავეცე...
ეგება გავაგებინო
შთამომავალთა ჩივილი..
„ყოფნა - არ ყოფნა „ ეს არის,
ჩვენი თაობის ტკივილი!

***

ის დგას ცხოვრების გზის დასასრულთან,
ათას ფიქრებით დამძიმებული...
შორს იყურება დასალიერში და ეღიმება ქვეშეცნეულად...
ვინ რას გაიგებს, რას ფიქრობს იგი,
რას შეუბოჭავს მისი გონება?
წლებთან ჭიდილში გათეთრებული,
მომავლის გზების დაწყებას ლოცავს...
მას შეუძლია განსჯა ყოველის,
მან იცის ფასი ცუდის და კარგის
და მისი ბრძნული ნათქვამი სიტყვა,
ხალხში გასული ლეგენდად დადის!
მან გადიტანა ქარიშხლიანი,
აბობოქრებულ დღეთა გნიასი,
მოუღლელ მკერდით გამოანგრია,
ცხოვრების გზებზე მდგარი წყვდიადი...
საქმეთა საქმე აუწერელი,
უდიადესზე უფრო დიადი,
საუკუნეთა სამსჯავრო მკაცრი,
შთამომავლობას თრთოლვით მიაწვდის,
ერთი უბრალო კაცის ცხოვრებას
უკუნისიდან უკუნისამდე!

***

შორეულ ლანდებს გაესაუბრე,
გაესაუბრე ლანდებს შორეულს....
ეჰ, რა დრო იყო, თუ გახსოვს მაინც,
გაგიუებამდე გრძნობამორეულს,
თავდავიწყებით გიყვარდა იგი...
ახლა კი თმებში ფიფქებმორეულს,
ხედავ შენს სახეს დამჭკნარს, მოლეულს...
და არც გაკვირვებს, აღარც ფითრდები,
რადგან შენ იცი ყველაზე კარგად,
გარდასულს უკვე ვეღარ მისწვდები...

***

მე ვდგავარ სადღაც, გზაჯვარედინთან,
ჩემი მომავლის გზებზე ვფიქრდები...
აჰა, წარსული და მომავალი
და თუ ამ ქვეყნად ვინმეს ვჭირდები,
ჩემო ოცნებავ და ნაფიქრალო,
ნუ მიმატოვებთ, ნუ დამცილდებით...
საშემოდგომო დგება დღეები
და ვიდრე ზამთარს შევეჭიდები,
მე დამარცხება არ დამკლებია,
კვლავ დამარცხებას ნუ დამპირდებით!

„ზღაპარ იყო“

მოვდიოდით, მოვყვებოდით უსასრულო გზებს...
ჩვენ ვიყავით ერთი წყვილი და ათასი სხვა...
„ზღაპარ იყო“, „ზღაპარ იყო“ წინაპარმა თქვა,
ვერ დავცალე საოცარი ოცნებების ზღვა,
ჩვენ გზადაგზა ვიზრდებოდით, იზრდებოდა სხვაც...
ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი... გრძნობა ყველას აქვს...
მერე ფიფქმა დაგვათოვა, გაგვიჭირდა სვლა,
ჩვენ წინ ისევ გრძელდებოდა უსასრულო გზა,
ჩუმი სევდა შეგვეპარა, გაგვებზარა ხმაც,
ჩვენ ასაკში შევდიოდით, ბერდებოდა სხვაც...
ჟანგი ვერსად მოეკიდა სიყვარულის ზარს...
„ზღაპარ იყო“, „ზღაპარ იყო“ წინაპარმა თქვა.

***

ფარდობითობის თეორიაა
ჩვენი ცხოვრება, - ეს ყველამ იცის...
რაცა ვართ ეს ვართ, - აქსიომაა,
მშობლის გვარზე ხტის ყოველი კვიცი!

მეგობრებს

ზარი დარეკავს წარმავლობის,
ყველა ვგრძნობთ ამას,
მაგრამ ამაყად გვიჭირავს თავი...
და ლუდხანებში,
და რესტორნებში,
რომ ვეძალებით ღვინოს და არაყს,
(ლუდსაც ძალუმად!)
ვინ ფიქრობს მაშინ,
რისთვის, რად უნდა...
ყოფნა - არ ყოფნას ვინ რას დააკლებს,
არარაობა დგას და ხარხარებს,
ადამიანებს დაგვცინის ალბათ!
რამდენი რამე გვეშლება თურმე,
ვაგლახ!!

***

როცა ვიყავით ერთად,
როცა ერთურთის გვწამდა,
ცხოვრება ძალზე იოლი
და სასაცილო ჩანდა!
მაგრამ, როდესაც ჩაქრა
აღტკინებული გზნება,
მაშინ გამოჩნდა სავალი
ეკალდაბურდულ გზებად!!

***

ქვეყნის სამსჯავროს წინაშე ვდგავარ,
ვუჩივი ღმერთებს, განგების ძალას,
განსასჯელი ვარ?
გამასამართლეთ!
მოვითხოვ ჩემსას
კვალად და კვალად...
მე უფლება მაქვს რომ მოვითხოვო
რაც კი გადმომცა წინაპრის ხსოვნამ,
რაც რომ წაიღეთ ნებით თუ ძალით,
რაც მართებს ყველას ქართველის ვალად,
ისეთს არაფერს მოვითხოვ თქვენგან,
სისხლხორცეული არ იყოს ჩემი,
რაიც ქართული არ იყო ადრე,
რაშიც არ არის ქართული გენი!
დამიბრუნეთო, რეკავენ ჩემში
კოლხთა და კლარჯთა სულის ზარები,
ვინ? ვინ ჰპატრონობს ბასიანს, ბანას?
ვის აქვს უფლება, წამართვას ხანძთა,
წყაროსთავს, ხახულს, ოშკსა და იშხანს
ვინ იცავს,
რათა, რატომ და რისთვის,
გრიგოლ ხანძთელი სირცხვილით იწვის,
სამშობლო მისი, ტაო-კლარჯეთი
ვინ გაიგონა, რომ იყოს სხვისი?
დამაბრუნეთო, იბერთა სამყოფს,
ბასიანს მოთქვავს მიწა ბებერი,
ნეტავ, რამ გაყო,

ნეტავ, ვინ გაყო,
ფანასკერტი და ლაზიკა ჩვენი!
ვინ დაუგმანა იმერხევს კარი,
შავშეთის გზები ვინ გადაკეტა,
არტანუჯს ვერა, ვერ შეველევით!
მაინც რა ხვედრი გვარგუნა ბედმა,
ასე მისხლობით გადავნაწილდით?
რაღა პასუხი მივუგოთ მერმისს?
ჰოი, განმსჯელო, თქვენ შეგღაღადებთ,
მომეცით ჩემი წარსული, გესმით!

***

თეთრი პალატა, თეთრი კედელი,
თეთრი ხალათი, კვნესა....
მერე ირიბი და უსიცოცხლო,
შვილი უკვდება დედას!
წამალი...
ნემსი და შეშფოთება,
თვალცრემლიანი ყველა,
-ვაიმე ჩემო უსაყვარლესო,
შენ დაგეფერფლოს დედა!
მიმწუხრის ჟამი დგება ოთახში
და უდიდესი სევდა!

სანთლები

ხელში ანთებული სკოპტრით მიაბიჯებ,
წინ გგვხვდებიან და გზიდან გეცლებიან...
სანთლები იღვენთება, ეს ცხელი წვეთებია,
საყვარელ ცრემლებში რომ გეცვლებიან....
მუხლებზე დაჩოქილან, ლოცვით გათანგულან,
სანთლებს ატირებენ ღმერთთა საამებლად,
ოი, რას ბუტბუტებენ ასე გულმხურვალედ,
რაზე გაუხდიათ თავი სანანებლად!
ძველი ეტრატები ლოცვას ქადაგებენ,
ხატებს ეზარებათ მლოცველთ შეგონება,
თეთრი სახეები ელდას გადაგდებენ,
სიცოცხლე სიკვდილის მონა გეგონება!
„მხოლოდ სანთლებია უხმოდ რომ იწვიან“,
მხოლოდ სანთლებია წყვდიადს რომ ანათებენ,
შენი გრძნობების ხატებმა რა იციან,
შეშინებულ როკვის ხმებს რომ გადასცემენ...
ფერთა სიდიადე შენში ირეკლება...
წყვდიადს ნათელს მოჰფენს, მლოცველთ გაუძღვება,
უთვალავი ზარი ერთად ირეკება,
მაინც ვერვინ შეძლებს შენთან გაურჩებას!
ვიღაც გამოგყვება, ვიღაც თანაგიგრძნობს,
ვიღაც შენთან ერთად სანთლებით გამოჩნდება,
ყველა დაინახავს, ყველა გაოცდება,
ყველა ქედს მოუხრის ახალ საოცრებას!

***

ღმერთო, მლოცველთა წინაშე ვდგავარ,
ხატებს უცნაური ახრჩობთ გაოცება,
გაფითრებულ სანთლებს რა საოცრად ვგავარ,
სული გონებაზე მეტად გაოგნდება!
მესმის ღაღადისი მაღალ დიად ღმერთთა,
„სული დაუმშვიდეთ, მიუტევეთ ცოდვა“,
მე არ დამჭირდება თქვენი აღსარება, -
რადგან აღსასრული უთქვენოდაც მოვა!
მორწმუნეთა შორის ურწმუნოთა ხილვა,
ღმერთთა გაოცება, შიში მორწმუნეთა...
ცაში გაკიდული რჩება შეგონება -
გული ურწმუნოთა როგორ მორჯულდება!

***

თუკი ოდესმე განმეორდება
ის ჟამი, რაიც ჩაბარდა წარსულს....
მე ვინატრებდი, დიდი რუსთველი
დაბრუნებოდეს საყვარელ მამულს!

ლაპარაკობენ მკვდრები!

ყური დაუგდეთ, ისმინეთ ყველამ!
ლაპარაკობენ მკვდრები!
ვისაც შიში და ძრწოლვა ვერ შეშლის,
წარმომართულან მკვდრეთით...
დაუძლეველი ძალა და შიში,
ვისაც ვეღარა ბორკავს...
ამაოების გზაჯვარედინზე მამაცთა სული ბორგავს...
არარაობის სამეუფოდან კაცობრიობის მოდგმას,
დაუგდეთ ყური უკუნეთიდან
ოხვრას, ტირილს და მოთქმას,
მათ, ვისაც უკვე ვერავითარი
სიკვდილი ვეღარ მოკლავს...
საფლავებს ქვევით, ცივ ლოდებს ქვევით,
მოსაწყენია უფრო,
ჩვენ ამოვზიდავთ საუკუნო მხრებს,
წარსულს და აწმყოს ვუხმობთ!
გადაუხდელი რა გვქონდა ვალი
ძველის და ახლის ერთად,
წარსულს და აწმყოს ვერ გადვექცევით,
ვერ გადვექცევით მტრებად!
გუგუნი ჩვენი დაფერფლილ სულის
ვულკანზე მეტად შეგძრავთ,
მილიარდობით ობოლი სული
მარადისობას ვძერწავთ!

***

ჩვენ ვლაპარაკობთ, ათასწლეულთა
სევდა გულზე რომ გვაწევს,
ბნელი საკნების ლაბირინთებში
თქვენი ხმა მაინც აღწევს,
ჩვენ შეგვიძლია განუკითხავად
ცოდვა და მადლი ვზიდოთ,
არ ვწუხვართ, უკვე ამაოებამ
რამდენიც უნდა გვიმტროს,
მოუსავლეთში ჩაკარგულები
მაინც ცოცხლებზე ვფიქრობთ!
არა, არ ვწუხვართ ჩვენს სამყოფელზე,
რადგან ეს გვერგო ბედად,
ყოფნა - არ ყოფნის სასწორის მიღმა
სულ სხვა ცხოვრებას ვხედავთ,
დაგვცილებია თქვენი ღიმილი
შვილო, ცოლო და დედავ,
და არტახებში ვბორკავთ გმირულად
თქვენკენ მომავალ სევდას...
თქვენ გულუბრყვილო გულებით დახვალთ
(ასეც გატაროთ ღმერთმა!)
და ყოველდღიურ ლხინსა თუ ვარამს
თქვენი საზომით ზომავთ,
გაგახსენდებათ სიცოცხლის ფასი,
გაგიჭირდებათ როცა,
მაგრამ დაკარგულს ვეღარ უშველის
სევდა, გოდება, გლოვა,
როცა განგების გამოგზავნილი
შავეთის ელჩი მოვა!

***

შენ დაიძინებ ბავშვური ძილით,
სახეს ნათელი დაგეფინება.
გიყურებ ვთვრები შენი სინაზით
და აღტკინებულს არ მეძინება!
მე შენი სახის ღიმილს მივყვები,
ვარ დევგმირი და შენი რაინდი,
ვგრძნობ ჩემს სიყვარულს და თავდადებას
როგორ განიცდი!
შენა ხარ მეტი ალერსის ღირსი,
ვერ დაგიფასე ღიმილიც ოდნავ,
თუმცა არა სურს მეტი შექება,
მე შენი ქების სურვილი მომკლავს!
გულწრფელი ქება ნდობაა, კარგო,
რასაც ლამაზი სიცოცხლე ჰქვია,
შენ ტრფობისათვის დაბადებულხარ,
მე სიყვარულის მალამო მქვია!

***

აგერ ნაჯიჯგნი კუმურდოც!
ბედმა მტრებს ისე უმრუდოს
გზა-კვალი დარჩეს უმუხლოდ...
ამენ!
ვერ ნახოს უღრუბლოოო...
დღე ჩაექუფროს შავეთში,
რაც ქართლი უწამებიათ,
ეწამონ, ჩაქრნენ წამებით!

***

მიმოფანტულა წლები,
სულში ჩამდგარა ნისლი...
აღქმა, შეგრძნება ჩუმი
დროის სახმილით იწვის!
სად დაკარგულა იგი?
იჭვი, ოცნება, ფიცი,
მდინარის მდორე დინებას
გაჰყვა და ახლაც მიდის!

შენ!

სულის ნათელი არ დამიბინდო,
ნერვს არ შეეხო მთავარს,
ამ ქვეყნად როგორც მოვედი,
ისევე უკან წავალ...
ჯერ კი ვით მონა-მორჩილი,
აქ შენ წინაშე ვდგავარ!...

მატარებელში

მღელვარე წუთი,,, მღელვარე წამი
უცბათ გაცნობა,
დამშვიდობება,
მატარებელი გრძელ გზაზე მიქრის
და იქარგება ვრცელი ოცნება...
ისევ დუმილი ჩემო გოგონავ?!

***

რაიც უნდა შემპირდე,
ოცნების კოშკები ამიგო,
წაღმა-უკუღმა ნათქვამი
ჰაიჰარალად გავიგო?

ლირიკული

გახსოვს?
ვარდების მაყრული,
სიცილი ჩვენთა გულთა...
გახსოვს?
ზამთარი ანცობა...
თოვლის წყლიანი გუნდა.
გახსოვს? მყვირალა ნეძვურა
ჩემი ლექსების ფუთა,
წრფელი სიცოცხლის სიმღერა
და სიყვარული სუფთა!

***

ვიცვლებით ყოველდღე,
ვიზრდებით, ვმდიდრდებით,
ვტირით და ვმღერით,
ვიცინით, ვფითრდებით...
ვიღაცას ვაკლივართ, ვიღაცას ვჭირდებით,
და ბოლოს ვშორდებით,
ერთმანეთს ვცილდებით!

ქარელი

წინაპართა ხმა მომესმა
ქართველთა, კახთა, კლარჯთა,
მთა-მთა, ხევ-ხევ, მინდორ-მინდორ
ექო გაიფანტა...
მივდიოდი, მივყვებოდი
ველად გაშლილ ხმათა,
მივძახოდი აწ გარდასულ
ათიათასს წამთა,
რაღაც ძალა მეწეოდა,
რაღაცისა მწვავდა,
ზე წამოდგა ღმერთთა ღმერთი
მთებს ოქროსფრად რთავდა...
ზე ასწია ორივ ხელი,
შეღაღადა ცათა,
„ესე არის საცხოვრისი
წინაპართა ქართთა
.....
ქარელს ქარი დაღუღუნებს
„იავნანას“ დარად,
ასე იყო ასე არის,
მეც ასევე მწამდა....
ქარელს ქართთა სავანებელს
მზეგრძელობა მარად!

***

აქ მოვა ქალი,
შეშინებულ თვალებით გეტყვის,
-აქ იყო, მიცდიდა,
წავიდა ალბათ!
შენ იგრძნობ სუნთქვას...
ინსტინქტურად ქალი მიხვდება
და ახსენდება,
ფიცს რომ უდებდა...
ოჰ, ნეტავ ახლა,
რომ შეხვედროდა,
თუ გაუძლებდა
მზერას კაცისას,
ვინაც აქ დიდხანს უცდიდა!

***

არ არის მისთვის ბედნიერება
სხვა უფრო დიდი,
თუკი მის გრძნობებს
კაცი უხეშად არ გადათელავს...
ქალის უხეში საქციელიც მაშინ იწყება,
თუ კაცში ნამდვილ
ქმარს ვეღარ ხედავს!

***

ო, როგორ მინდა, ვიყო მინდია,
გავიგო ყველა მოკვდავის ენა,
რომ განვიცადო მინდიასავით,
რომ ვლოცო ქვეყნად ჩემი გაჩენა!

***

ეს დღეც დამთავრდა,
ვაი, გულუბრყვილოთა და უგრძნობთა,
არა, არ ვარგა,
უკვალოდ გაქრეს
და მივატოვოთ -უღმრთოოთა...
ო, ღმერთო, ღმერთო,
თუკი ხარ სადმე,
რატომ სჯი ასე უნდოთა!

***

ლექსი, პოეტი, შენ....
-მკითხველი?
ვკითხულობ მე,
ვის ელის პოეტი, ლექსი?
ისევ შენა და მე?

***

ისეთი კარგი იყავი,
ისეთი კარგი, რომ...
რომს, იტალიას და ვენეციას
ვერ მოძებნიდით სწორს...
შორს რად ირჯებოდი გენაცვალე,
აქვე წაგიყვანდი წრომს!

***

ახლა ზამთარია, ცა დაფიქრებულა,
აუ, რა ხანია თმები შეგვერცხლია,
ნეტავ, სად არიან გულთამხილავები,
იმ საადუმლოს მხოლოდ შენ გეტყვიან!

***

მე ისევ მარტო დავრჩი,
(ვის სურს რულად ყოფნა?)
როგორც პატარა ბავშვი,
ველი ვიღაცის მოსვლას,
არ მინდა დავიჯერო,
თუ ყველაფერი მორჩა!

***

ვაი, ჩვენს გამჩენს,
ვაი ჩვენს ყოფას,
თავი თუ სადმე
გამოგვეყოფა,
გულხელდაკრეფვით
თავს ვუკრავთ
-გესმის?
ყოფნა - არ ყოფნას!

***

მე ხვალ დავტოვებ თბილისს და წავალ,
რომ გავეროდო ზაფხულის სიცხეს,
მაგრამ ვერა ვთმობ საყვარელ ქალაქს,
რამეთუ გული არსაით მიწევს,
როგორც შვილს დედა ვერ შელევია,
რაც უნდა უღირსი იყოს...
ისე მეძახის დედა თბილისი
-საით მიდიხარ ბიჭო?
რაც უნდა ბევრი ჰყავდეს შვილები,
განა ვის გამოარჩევს?
არ ემეტება არავინ სხვისთვის,
ყველას თავისკენ უხმობს.

არეულ--დარეული

ასე დავარქვათ სათქმელს,
ასე იწამე შენც...
მიმოიხედე, მიხვდები,
გული საითკენ გძლევს.
გავყოთ ოცნება ორად
ერთი მე, ერთიც შენ,
ცაზე გაშალე ფრთები,
გადაეფარე მზეს...
ოი, რა რიგად ვწუხვარ,
გული რა რიგად ძგერს!

***

იდგნენ, ეხვეოდათ მუმლი,
ახრჩობდნენ, ხვრეტდნენ, კლავდნენ...
ელოდნენ, ელოდნენ ამ დღეს..
დარჩეს აუხსნელ იგავად,
ამ საწუთროზე რაც თქვეს...
კვლავ დაეხვიოს მუმლი,
უფრო და უფრო გაძლებს!

***

გადაიქროლებს წელთა სრბოლა,
საუკუნეთა შეჯამების დადგება ჟამი,
ზოგს დახრავს ჟანგი,
უფერული და უვარგისი,
ზოგიც უკვალოდ დაიკარგება!
გაცხრილვის ნაშთი იქნება ჯამი,
საუკუნეთა...
ასი ათასი წელთა სიმრავლე,
ერთ სტილისტურად გაუმართავ
წინადადებად დაიყვანება.

***

დაე, შეჩერდეს ფეთქვა გულისა,
თუ გზასაცდენილ ოცნებებს გაჰყვეს...
თუკი მიზანი, სულის ტკივილი,
მხოლოდ შემთხვევით სურვილად დარჩეს!

***

არაფერი არ მინდა,
არაფერს არ ვთხოულობ,
სულო ჩემო მშფოთვარეევ,
ღმერთო ჩემო გრძნეულო!
ცხრამეტი წლის გოგო
ათასი წლის წინათ,
იდგა ხელაპყრობით
ჯავახეთის მთათა,
ლოცულობდა, წმინდა
სურვილები კლავდა,
თავფარავნის გზებზე
ვეღარ წყვეტდა თვალთა...
მასაც ჩემებრ სურდა,
მასაც ჩემებრ სწვავდა,
ნეტარება სულის,
ხმაი გულისთქმათა,
ცეცხლად მოვლენილი,
ნეტარების წამთა...
ჟინი დაიფერფლა
ჯავახეთის მთათა:
ჯვართა გულის ჯავრთა
აღიმართა ხატად,
მთებზე დაიხატა
და ლამაზი სული
ქარში გაიფანტა!

N - ს

შენ არ იტირებ ისე, როგორც ტირიან სხვები.
შენი განცდები სხვაა,
სხვების?
ღმერთმა განსაჯოს დაო!
მთები ბავშვივით წმინდა,
გულუბრყვილობით სავსე
შენივე გულით გრძნობენ,
სული აქვთ შენებრ სანდო!
ეჰა...
წასულა წლები...
იმ წლებს რა დააოკებს,
ქუჩაში დგახარ მარტო
და რაღა გაგაოცებს,
თავჩაღუნული კაცი
აქ რისთვის დააბოტებს?

***

ტინივით მყარი და შეუვალი,
გაუტეხელი გულის ფიცარი,
კლდეს დააჯახებ, ფერს ვერ შეუცვლი,
აი მიზანი!

***

მშვიდი დილა, დაცვენილი ფოთლები,
ჩვენთა დღეთა აღსრულების ჟამი,
თავდახრილი მლოცველთ შეგონება...
შთაგონება უცნაური ძალის!
ეს ასეა... დაუცხრომელ წადილს,
შეუცნობელ ჟინს და გაოგნებას...
დასაბამით ევასა და ადამს
თავის თავი ისე აოცებდათ,
ისე თითქოს ზეცით მოვლენილი
სასწაული იყო ყოველივე,
თავდახრილი დაჰყურებდნენ მიწას,
მიწას, რასაც თვითონ მოევლინენ.
მშვილი დილა, დაცვენილი ფოთლები,
გაოგნებულ მლოცველთა შეგონება...
იმას, რასაც გრძნობა წარმოსახავს,
სიცოცხლის ხმა რისთვის ემონება?

***

შენ ეძებ ჩემში
რაღაც უცნობს, რაღაც საკვირველს!
ამაყი გრძნობა დაბინდულ ტვერში
გზას ვერ გაიკვლევს...
თუკი საძირკველს, გრძნობათა ჩვენთა
არ ჩასჭიდებს ხელს!

***

ეს ერთი მიძღვნაც შემინდე დაო,
არ გაგიკვირდეს სულის სარკეში ამოკითხული,
ეს საუკუნეც მძაფრი განცდებით დაგვტოვებს მალე,
ვინღა დარჩება განუკითხავი?!
საკვირველია? –
არა, სრულებით,
ძნელია, მაგრამ
თუ გაუძელი...
დასაბამიდან ასე ყოფილა
თურმე ბუნებით!
თუ გაუძელი,
თუ გაუძელი...
კოსმიურ ზვირთებს
აწეწილ სულში...
გექნება ნება, თუნდაც მცირე ხნით,
იცხოვრო ქვეყნად
სრული უფლებით!

***

მე წავალ ჩუმი და მორიდებული,
შენი სახება ოცნებად გამყვება,
სათქმელად მექნება,
სანთლებად მენთება,
რაიც არ ღირდა თურმე გამხელად!

***

ქარი გადივლის მთების მწვერვალებს
და მერე ისევ შემობრუნდება,
ელოდებოდა! რომ იჩქაროდა,
ან უკან ისევ რაღად ბრუნდება...
გულს გაუხეთქავს ფოთლებს, ბალახებს,
დაჭრილ მხეცივით რომ აღმუვლდება...
რა უნდა, რაზე ბობოქრობს ასე...
ვერც შეიყვარებ, არც შეგძულდება,
ასეთი არის ქარი ავყია,
ასეთი არის მისი ბუნება.

***

წახვალ და ზეცაც მოიღუშება,
წახვალ და წვიმს, წვიმს...
ვის შეუძლია, გვითხრას სიმართლე,
უკვე წარსული გზის!...
გაბზარულია ოცნება
ფიქრებს ძლივს ართავს ძლივს...
შენი სიცოცხლის სიმღერა,
ვის უანდერძე, ვის?

***

ქუჩაში მხვდები, მიღიმი, მიდიხარ,
იცი, ვინცა ვარ,
ვიცი, ვინცა ხარ...
შევჩერდები და მზერას გაყოლებ,
ვაგლახ, რომ დღემდე ვეღარ მიცვნიხარ!
ქუჩა სავსეა... მღერის ვიღაცა,
საით მიდიხარ... საით მიდიხარ...
ეჰა, სიცოცხლევ დაუსაბამო
ლამპრად მინთიხარ!

***

მომავალზე ოცნებები
შეგიძლია მხოლოდ.
წარსული და აწყმო
პასუხს აღარ მოგთხოვს.
ო, რამდენჯერ გაწვიმდება,
ო, რამდენჯერ მოთოვს...
დაიბადე?
მაშ იცხოვრე,
აბა, რა არ მოგწონს!
სცადე, იქნებ გაუმკლავდე,
ბოროტების მომგონს...
ხევ-ხევ მიდის, მიცქრიალებს,
შავთვალება გოგო!

***

ჩემი ცხოვრება იყო ლეგენდა,
ლეგენდა იყავ შენც,
შენ შეაცდუნე ყველა ქალღმერთი,
შემოგნატროდა მზეც...
შენ გაღმერთებდა ყველა მოკვდავი,
ყველა გეტრფოდა შენ,
გზაჯვარედინზე ვიდექი მარტოდ
და შევნატროდი სხვებს...
თურმე ზღაპრული შენი ღიმილი -
მელოდებოდა მე!
მაგრამ რად გაქრა დრო საოცრება,
რად გაგიყოლა შენ!
ზღაპარი იყავ, ზღაპრად წახვედი,
გაჰყევ ნისლიან გზებს!

***

გული არასდროს არ დაბერდება,
გული დარჩება ყოველთვის გულად,
გულს დაფლეთს მხოლოდ შური და ბოღმა,
მიტოვებული თუ დაიგულა!

***

მინდორ-მინდორ, მთა-მთა, ხევ-ხევ,
სოფელ-სოფელ, კარდაკარ,
მოვიარე მთელი ქართლი,
ვერ გიპოვე, სადა ხარ?
ზოგჯერ ფიქრი გამიელვებს
„იქნებ სულაც არა ხარ“...
რად დამტოვე ასე ცალად...
გვევლო ერთად მხარდამხარ...
მე სხვა ფიქრი არ მქონია,
არ მექნება, არცა მაქვს,
მე ნისლი ვარ, შენ ნათელი,
შენც იყავ და მეცა ვარ!

***

ზამთრის დილა სუსხი ყოველ მხრიდან,
ყინვა აზრობს უპატრონო სულებს,
ჩქარა, სადმე შეაფარე თავი,
თორემ უკვე სადღაც დაიღმუვლებს
ქარიშხალი და სიცოცხლე შენი
უაზრობის მსხვერპლად გადიქცევა,
ჩქარა, ჩქარა! მოარიდე თავი,
ამ საშინელ ზამთარს, მეხთაცემას!

***

შენში შემოსულა შემოდგომა,
გაზაფხულს ჰგავდი მახსოვს,
სად არის ის პატარა გოგონა,
ოცნებას მთვარეს რომ ანდობს!
შენ ახლაც გჭირდება თანადგომა -
მიყვარდი, გახსოვს?
....
გულობრყვილოდ,
როცა სევდა დასძლევს
შენს საყვარელ თვალებს,
მაშინ ვერც კი ვხვდებით,
ასე რა გაწვალებს!
და როდესაც ჟამი
ვეღარ აკრეფს წამებს,
შეშფოთების განცდა
ისე გაგვაწამებს...
ვიწყებთ განსჯას, რატომ,
როგორ მოხდა ასე
და საოცრად ვგავართ
გულუბრყვილო ბავშვებს,
გვიკვირს და ვერ ვხვდებით,
რისთვის დავისაჯეტთ!

ჩემს დაქალებს

ჩემო კარგო გოგოებო,
კარგებო და როგორ,
მზე ჩავა და მზე ამოვა,
თქვენ არავინ მოგწონთ!
დამაცადეთ, ყელყელებო,
ყველას პასუხს მოგთხოვთ,
ფორთოხალას ნაზი კდემა
თაობებით მოგყვათ,
ჩირაღდნებად ანთებულნო,
გზრდიდათ მისი ლოცვა,
ჩვენი ტრფობის ბაღნარებო,
გულს რად უკლავთ მოყვასს.
აკვნებს ჩრდილი წაეფარა,
სახლში ჩადგა სევდა,
შეისმინეთ ჩვენი თხოვნა,
ივერიის ბედად.
რა იქნება ყველა თქვენგანს
გრაცხდეთ ქართველ დედად!
.... ყელყელებო, ყელყელებო,
თქვენი სიტყვა გეთქვათ.

***

თუ დავიბადეთ, უნდა ვიცოდეთ,
რა არის კაცის აზრი, გონება,
ადამიანზე საუკეთესო
ჯერ არ არსებობს „გამოგონება“....
რა თავსი ვიცემთ სკამების ჯირითს,
საოხარია ყველა ქონება,
თუკი კაცური დავკარგეთ სუნთქვა,
გადავიქეცით მგლებად, ქორებად...
იქნებ გავლიოთ ცხოვრება ასე,
შთამომავლობამ გვითხრას ცხონება!

***

როცა ქარი ჩადგება და
დაწყნარდება ყველაფერი როცა,
მაშინ მოვალ, შემომხედე მოწყალედ და
უნდა გთხოვო მხოლოდ ერთი კოცნა,
ეს იქნება დასაწყისი სიყვარულის
და სიცოცხლის დასასრული ლოცვა!

***

ეს ღამეც დაწვი როგორც აბედი,
მიუსაფარი დატოვე სევდა....
ბედმა ასეთი გარგუნა ხვედრი,
უიმედობის ნისლში რომ გხვევდა....
ეჰა, სად იყავ აქამდე, ბიჭო,
ფრთებჩამოყრილო, ვის ერთგულებდი,
ცხოვრება მაინც არის ცხოვრება,
სალტეშემოკრულ რკინის გულებით.
ჰოდა ვერ მიხვდი, დამთავრდა, ფიქრობ,
უკვე გასულა ყველა ბოლოში,
ვიღას ახსოვხარ, ან ვინღა გიცნობს,
რად გიკვირს ვითომ, რომ გაგეცალნენ,
ავადმყოფურად ვინც კი გიყვარდა,
ხვალ ჩამოგივლის უზენაესი -
და ჩამოგართმევს ბოლო მისამართს!

***

ფერაკინძული დაისი
საჩუქრად მიძღვნა მზემ...
მზე მიყვარს...
მთვარეც.....
ვარსკვლავიც...
და უფრო მეტად შენ!

***

სიყვარულზე მღეროდი,
ოცნებობდი, ტიროდი,
სხვასთან რატომ ჩიოდი,
როცა ასე მტკიოდი.
ჩემ წინ მთელი სიცოცხლე
გადი-გამოდიოდი,
როგორ ვერა მხედავდი,
როცა ცრემლად მდიოდი,
სხვისთვის რაღად ტიროდი,
სხვისთვის რაღად ჩიოდი?

***

იყო წამება,
იყო ბედიც და სიხარულიც,
ვაებას სცვლიდა
სიკეთე და ის სიყვარულიც...
რომელიც ძალით მოიპოვეს
სიცოცხლის ფასად...
და არ იქნება ის ბოროტებაც
ისე ძლიერი,
ო, არსად, არსად
როგორც თქვენ მიერ,
მოტყუებული ამ სამოთხეში!

***

შენ კიდევ დაწერ ათასგვარ მიძღვნებს,
ღმერთებს დაადევნებ შეწირულ რითმებს...
სამყარო უცბად ლექსად რომ იქცეს,
შენ მაინც იმღერ...
და სულის ლტოლვას
დაუსაბამოს,
უცხოს, შეუცნობს,
ვგონებ ვერასდროს,
ვერასდროს მისწვდე!

***

შენს კვალს გაბნეულს ჯუნგლებში
დაჭრილი ვეფხვივით ვსდევ....
სუნთქვაგაძარცვული სადმე მივეგდები,
დავემალები მზეს...
გახლეჩილ მთვარესავით დავბორიალობ,
გული ძალუმად ძგერს...
მინდა, არ მინდა გიპოვო...
ალბათ, რომ ეს ხარ შენ!

***

-მე წავალ ახლა!
    გაგეცინება....
-შენამდე არც არვინ წასულა!
    ერთია მხოლოდ -
    ჩვენ შორის -
    ყოველივე დასრულდა!

***

თორმეტს აკლია წუთები
ისარი კენკავს წამებს,
ვფიქრობ,
ვუყურებ მთვარეს,
ვითარ დარაჯობს ღამეს...
მე ჩემი საფიქრალი მაქვს,
იქნებ მეტყოდე რამეს?

***

დავიღალე, გზები გამოვიარე,
კვლავ შორი მაქვს სავალი
ალვისტანას ღიმილი
აი, ჩემი წამალი!

***

მიწა,
მზე,
ცა,
როცა შევიცან,
ეჭვი უცნობი -
ტიალი.....
ოცნებას ისევ ხრავს....
სათქმელი დაჩაჩანაკდა,
ჯობს არაფერი ვთქვა!

***

ძნელია თქმა
მაგრამ აი, რა....
გითხრა? გამოვტყდე?
მი-ყვარ-ხარ!

***

შენს ბაღში მე ვიცი,
აყვავდებოდა ალუჩა,
რაო, რასა მწერ,
ფოთლები გალურჯდა(?)
ალბათ სიმწვანე ლურჯ ფერში გერევა,
უფრთხილდი სიყვარულს ბევრი ვერ გადაურჩა!

***

აქ იყო სიკვდილი, ქოშინით მოვარდა,
-საქმე მაქვს თქვენთანო,
ძლივსა თქვა,
ჩვენ მივიჩქაროდით
სიცოცხლის ზეიმზე,
გავცილდით, გაბრაზდა?
რაც უნდა ისა ქნას!

***

ავიღოთ, დავიღოთ,
მაინც ესა ვართ...
ისა ვთქვათ...
ესა ვთქვათ...
აღმა ვხნავთ?
დაღმა ვხნავთ?
ნუ ვჩივით, რაღა ვქნათ!
ვის ვგავართ,
რას ვგავართ
ესა ვართ, რაცა ვართ!
საქმე ისაა...
სათქმელი დროზე ვთქვათ,
რაც მამულს და მის ხალხს
სჭირდება, ისა ვქნათ!

***

არა ვარ დიდი და მაღალი,
არა ნიჭით და საქმით,
აი, ასეთი კაცი,
რამდენიც გინდა დადის...
ზოგი კეთილი ხვითოა,
ზოგი გავსილა ღვარძლით,
და ეს ცხოვრებაც მიტოა,
სავსე ბოღმით და ხვართქლით.

***

ვინ მოიგონა რითმა,
ლექსის ფორმა და სახე,
რითმები: თავხე, ვნახე!
გვეუბნებიან რასმე?
ლამაზი სიტყვის განცდებს,
ნუთუ რითმები ავსებს,
რატომ არ ვურთავთ მაშინ
წიგნებს რითმების სარჩევს,
მკითხველი კარგს და აუგს,
ისედაც კარგად არჩევს!

სახუმარო

თუ გინდა გიჟი მიწოდე,
თუ გინდა გადარეული,
თუნდაც იწვოდე სირცხვილით...
რა ვქნა, არა ვარ ჩვეული...
იმ „მაღალ წრეში“
შემთხვევით,
თუ შენთან ერთად მოვხვდები,
მომნათლონ „სოფლელ გაგრიად“
ამითაც ხომ გამოვჩნდები!

***

აბულის მთიდან დაგორდა მთვარე,
მთვრალი იყოო,
უცბად გაჭორეს,
ახლა ხერთვისთან წევს გველეშაპი,
ნაბახუსევი მშვიდად აზმორებს...
არა, ის ხმაში ვერ გაუძლებდა,
ცაში აზიდულ ამდენ მთა-გორებს,
ოჰ, ისე როგორ უნდა დაითრო,
რომ სამარცხვინოდ მთიდან დაგორდე!
რას იზამ, სისხლმოწყვეტილებს
თავის ამინდი დაუდგათ!

ირონიულად

.... ამ ღამეს
მესიზმრება მრავალწერტილი,
მერე: ორწერტილი აიღებს სიტყვას,
„შეუნდეთ წყვეტილებს,
წელში გაწყვეტილებს,
მრავალწერტილებს,
კითხვის ნიშანი(?)
წელში მოხრილი,
უსმენს ორწერტილს
ფეხებმოწყვეტილს...
მერე მხედრულად გაიჭიმება
და მე მომმართავს ბრძაბებით, რიხით,
გელოდებიან, წავიდეთ იქით!

***

მთვარეზე კაცი გადმოდგა
მეძახის, ნეტავ რა უნდა?
მე მემუქრება ბეჩავი,
რად მახსენებთო აუგად!

***

მიყვარს წვიმა შხაპუნა,
წყარო ცივი ანკარა,
დაგწვავს ვაჟკაცს, დაგნაცრავს
შავთვალება პატარა.

***

თუ ამბობ სიტყვას, ჯერ დაუფიქრდი,
გრძნობის გადმოღვრა ძნელი როდია,
გულიც ცახცახებს დროთა მარწუხში
გაუხეთქავი რატომ გგონია!

***

ჩვენი ცხოვრება გამოუცნობი,
თავის ბუნებით ადამიანს ჰგავს,
ადამიანიც ხომ იღიმება,
მაგრამ რა იცი, რა ბალღამი წვავს!

***

არის სიცოცხლე სხვადასხვა გვარი,
ადამიანთა მოდგმის საწყისად,
ბოროტი ზრახვა გულში არ გქონდეს
ბედნიერება სხვა რაღად გინდა!

***

მღერის იამზე,
მთებს ჰფენს სინაზეს...
არ ველოდი, დახეთ თურმე,
შენც გაინაზე!

***

ტირის ალუჩა,
მარტოდ მდგომარე,
რა ნაზი ხარ, რა პატარა
და რა მთრთოლვარე!

***

ახალშობილი ბავშვის ტირილი
და მომაკვდავის მოთქმა, გოდება
მოდიხარ, - სტირი, მიდიხარ,- გოდებ
ასეთი არის ჩვენი ცხოვრება!

***

ბავშვი ვიყავი, ვკრეფდი ყვავილებს
და თავზე ძლიერ იგი მიყვარდა,
ახლაც იმავე გრძნობით ვკრეფ ყვავილს,
ცისფერთვალება რომ შემიყვარდა!

***

თუ მაგ თვალების ღველფის ნაპერწკალს,
მეც გადამდებდი არ ვიფიქრებდი,
შენთან ვარ, ახლოს არ მეკარები,
წავალ და ალბათ, დაგავიწყდები.

***

დიდებისაკენ მიმავალ გზებზე
უსაქმურები როდი მიდიან,
გამგზავრებამდე რჩეულთ-რჩეულნი
ხალხის წინაშე ვალს აქ იხდიან!

***

მე მომღერალი რომ ვყოფილიყავ,
რას ვინატრებდი მემღერა შენთვის,
რას ვინატრებდი შემთხვევითობას
მოეცა ჩემთვის მომღერლის ბედი!
ალბათ დამწვავდი როგორც აბედი,
მანამ გულისკარს გახსნიდი ფართოდ,
ამოვიკვნესდი ვით თეთრი გედი
და სამუდამოდ დაგტოვდით მარტოდ!

***

როგორ მინდოდა ვყოფილიყავ,
როგორ მინდოდა მეთქვა,
ერთხელ, თუნდაც ერთხელ თრთოლვით
შეევევედრებოდი ღმერთსაც...
რომ არ გაწყვიტოს ფიქრი მოჩვენებამ,
მრავალწერტილების მკაცრმა წარმოსახვამ...
ალბათ ვიქნებოდი ათას გულთა ხილვა...
ათას შესაწირთა რაღაც მოჩვენება...
ისევ წერტილები, ისევ ფიქრთა წყვეტა!

***

ფოთლებს წვეთები ეცლებათ ნელა,
როგორც ცრემლები სკდებიან თვალებს...
შორეული ხმა ისმის ბინდბუნდში,
მიაცილებენ საყვარელ ქალებს...
ქმარი, რომელსაც სურს თუ არა სურს,
ბაღის კიდესთან იცდის და ელის,
აგვიანდება ბავშვების დედას,
ძნელი ყოფილა ლოდინი, - ძნელი!

***

მოდი, რა გითხრა, არსად წამოგცდეს,
ჩუმად!
იცოდე, არავის უთხრა...
შეხედე ძმაო, აგერ, იმ გოგოს
ჩემი გრძნობების ნაპერწკალს რომ ჰგავს...
მომწონს....
და კარგო, შენ გეხვეწები,
არავის ენდო და არ გაფანტო
ახალგაზრდული ეს შეცბუნება,
სირცხვილი არის სხვას რომ გავენდო?

***

ჩემი ქვეყნის ჯავარი, არმაზი და ვარძია,
არა, სხვაგან არ არის უფლისციხე მეორე,
საქართველოს სახელი ცის თაღზე რომ ასწია,
გელათი და იყალთო...
ასჯერ რომ ვიმეორებთ...
ჩაუმქრალი ღადარი დღესაც ისევ ანთია
პალესტინა, კუმურდო,
პეტრიწონი, ხერთვისი...
მათი საქმე უკვდავი, აბა ვინ გაარჩია,
საოცარი წარსული,
ჩვენი აწმყო, მერმისი...
საქართველოს დიდების
ხოტბად გადაჰქცევია!

***

ძველთა შეგონება,
ღაღადი წინაპართა,
შთაგონება მათი
საით წარიმართა?
თურმე რაიც სწამდათ,
რაიც ახელებდათ,
იმან გამოძერწა
უკვდავ ქართველებად...
კავკასიის მთათა
ორთა შუა ზღვათა
მოიდრიკეს მუხლი
კოლხთა, სვანთა ქართთა...
კოლაელთა გული
მოსხთა შემართება...
ტაოელთა სიბრძნე
ასე მრავალ ტომთა,
გულით, ენით სულით
ერთმანეთი იცნეს,
უცბად გადაქელეს
კავკასიის სივრცე,
და ქართული სიტყვა
ისმის კიდით კიდე!

***

გახსოვს ის ქუჩა?
ციცინათელების შუქი რომ წვავდა,
გადაიფურცლა
ბავშვობა ჩვენი...
ტრფობით რომ გვრთავდა,
გახსოვს ის ჟამი?
შეხვედრის ცეცხლი ორივეს გვწვავდა,
შევხვდით ერთ წამით
და ყოველივე ამით დამთავრდა!

***

მოდი ვუმღეროთ სამოთხის ჩიტებს,
რატომ გამირბი, რად მეურჩები,
პასუხს რით გასცემ უნებურ ფიქრებს,
ყოველთვის უარს რომ მეუბნები!
ჩემო გოგონა შენი გულის მწამს,
სიცოცხლის მძლავრი ტალღის ჩქერი ხარ,
შენი უმანკო, ნორჩი გული მწვავს,
ვერსად წამიხვალ, მაინც ჩემი ხარ!

***

გოგონა თრთის, თრთის!
წამწამებს დაბლა ხრის,
შეყვითლებული ფოთლები
მოფრიალებენ ძირს!
შემოდგომაა უკვე
გაუკვირდება ვის?
გოგონა როგორც ზამბახი
ხელშეუხებლად თრთის,
რად ეშინია ზამთარი
ჯერ შორი არის გზის!...
გათხოვებამდე დარჩა,
ლოდინი ერთი თვის!
გოგონა თრთის, თრთის!

***

მუსხი, წყორძა და ხეოთი,
რაგვარად მოირხეოდი,
რა იქნებოდა ლამაზო,
ერთ კოცნას შემომწეოდი!

ექსპრომტი

გიცნობ? არ გიცნობ!
გავიცნოთ დაო,
ეს ერთი წუთი გვქონდეს სადავო,
მალე ნიავი ჩაიშრიალებს
და გზებს გაგვიყრის ცივი მარაო!

ბალში

სკამები თვლემენ ვით მოხუცები,
ქარი მარტოა, ეძებს მეგობარს,
სადმე შემთხვევით თუ ნახავს მოხუცს,
გაესაუბროს გუშინდელ ამბავს...
ოხრავს...
მაგრამ აქ ერთს მაინც ნახავს,
კრიალოსანზე ჩამოძინებულს,
შეენანება გასაღვიძებლად,
მიუალერსებს ჭაღარა თმებზე
და მერე მთებში დაიკარგება

გულუბრყვილოდ

ასეა თუ ისე,
შემიყვარდი, რა ვქნა?
რად მემდური?
შეხვედრის დრო დავთქვათ!
გეშინია დედიკოსი,
თუ მამიკო გკიცხავს...
ჩვენ გვიყვარდეს ერთმანეთი
იმათ ვინა ჰკითხავთ!
გამებუტე? ვაი, რატომ?
შეგიყვარდა სხვაი,
მეც მაღირსე ერთი სიტყვა
რა იქნება, რაი!
მე გეხვეწო? ვაი, რა ხარ,
უგულო ხარ, იცი?
ჯერ რომ ქვეყნად არავისთვის
მიმიცია ფიცი!
მომითმინე, მომისმინე,
რატომ გახდი ფიცხი,
მე თუ ვიწვი, შენც კი ღელავ,
ეს ხომ კარგად ვიცი!

მიბაძვა

რატომ გიყვარს ასე,
დამცინავი დღე,
მოფარფატე ტყე,
გაჩეხილი ხე,
შემზარავი თქმა,
გაბზარული ხმა,
უოცნებო დღე,
მოშრიალე თმა!

პირველი ლექსი

მაშინ რა იყავ,
პატარა გოგო,
დრომ მთლად შეგცვალა,
გული გაცვალა
და შეუმჩნევლად მკერდზე ნელ-ნელა,
გოლი ბორცვები ამოგეზარდა,
სახეზე გაჩნდა სინაზე, თრთოლვა,
თვალებს მორცხვობა დაეტყო უმალ,
ნეტავი იმას, ვისაც ეგ ეშხი,
ტრფობით გულს უკლავს!

***

მთებზე ბინდია და ხილვადობა ჩემი,
ვეღარ აღწევს ნისლში - შემობრუნებულ მწვერვალს!
შორით ვიღაც აღწევს ნისლში - შემობრუნებულ
მწვერვალს!
შორით ვიღაც მიხმობს, ვიღაცის ხმა მესმის,
წინ მივიწევ ნისლში, მაგრამ ვერვის ვხედავ...
ოი, დედავ ჩემო, შევერცხლილო დარდით,
რად მასწავლე ლტოლვა მიუღწეველ გზების,
მიუსაფარ გზებზე ისევ მარტო დავრჩი.
რა ყოფილა ბრძოლა - მხოლოდ ახლა ვხვდები.

სარჩევი

ჩვენი სერგო 3

ლექსები 10-108

My hobby is poetry
(In Georgian)

Periodical Literary
Miscellany No 13